

# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერ. ჟურნალი

ინვალიდთა და ობლეთა კომისარიატის ყოფა-ცხოვრება

კვირა, იანვარი 27. № 3. ფასი 20 კ. ჩ.



ვ. ი. ლენინი — ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვი

## შინაარსი № 3 (6)—1924 წ.


**მეთაური**—სული და სხეული.

**ი—ი**—ვ. ი. ლენინი.

**შ. ბუაჩიძე**—ქართველი მსახიობები პროფილებში.

**ტასო აბაშიძის**—საიუბილეო კომიტეტის მოწოდება.

**ივ. გომართელი**—კრიტიკული შენიშვნები.

**ნინი ჩიხლაძე**—დამქკნარი ია.

**კაიუს პელი**—თამარს.

**ტრ. რამიშვილი**—სიყვარულის საზღვართან. (დასასრული).

**მ. ღვამიჩავა**—სახალხო სახლი.

**გერცელ ბააზოვი**—კაინი.

**ხ. ურუშაძე**—განკითხვის ჟამი.

**ვანო ბარველი**—წამარჟებული ექსპრესიონისტულად.

**ნარკანი**—ხელოვნება ჩვენში.

**საზოგადოებრივი ცხოვრება.**

**კ. ხომერიკი**—საქართველოს სოფლის მშრომელებს—(გლეხობას).

**დაბა-სოფელი.**

**ლადო კობიძე**—სიმართლე ერკეთ-ეწერის სახალხო სახლის შესახებ.

**ხელოვნების ქრონიკა.**


## კორესპონდენტ. საყურადღებოდ

I. „თეატრი და ცხოვრება“ თქვენი იარაღია ხელოვნების ყოველ დარგისა და ქვეყნის წინსვლის სამსახურისათვის.

II. სწერეთ მხოლოდ სიმართლე. ანგარებით და პირადი ანგარიშით რედაქცია შეცდომაში არ შეიყვანოთ: იყავით მართალი, პირდაპირი და სამართლიანობის მოციქული.

III. ყურადღებით და სიყვარულით მოეპყარით ხელოვნებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ უანგარო მუშაკს.

IV. განსაკუთრებით აღნიშნეთ ყოველი ნაბიჯი სახალხო-სასოფლო თეატრის მუშაკთა და სახალხო სახლების ვითარება.

V. ყოველი ცნობა დაბა-სოფლისა, სახალხო თეატრთა და საერთოდ ხელოვანთა ცხოვრებიდან დაუყოვნებლივ მოაწოდეთ რედაქციას ყოველ კვირა.

VI. ხატრით ულირსი არ აქოთ, შურისძიებით—ღირსეული არ დაამციროთ.

VII. ერთგულად ავრცელეთ ხალხში თქვენი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ და მის საგამომცემლო ფონდის გაძლიერებას ხელი შეუწყეთ.

VIII. სწერეთ ქაღალდის ცალ მხარეზე, გარკვევით და ნათლად.

---

## „თეატრი და ცხოვრება“-ს ფონდი

ჩვენი საყვარელი ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“-ს საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ხუთი მანეთი ოქროთი და ვიწვევ შემდეგ ჩემს ძვირფას ამხანაგებს ამავე მიზნით: მიხ. ღვამიჩავას, ვიქტორ ნინიძეს, ნიკო გოცირიძეს, კოსტა სალირაშვილს, მიხეილ გაბისონიას, ვანო ჩხიკვაძეს, ლავრენტი კორძახიას, ილია სავიცკის, ანტონ ლითანიშვილს და სხ. ჩემს მეგობართ. წინააღმდეგი არ ვიქნები, თუ ესენი ჩემზე მეტს შემოიტანენ.

**გიორგი თაზიშვილი.**


## ანონსი!!!

ჟურნალი

**„გილიოტინა“**

ელოდეთ.



## მიიღება ხელის მოწერა

1910 XIV **წელიწადი მეთოთხმეტე** XIV 1924

# თეატრი და ცხოვრება

**სათეატრო-სახელოვნო სურათებიანი ყოველკვირეული უპარტიო ჟურნალი იუმორისტული განყოფილებით**

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

**ჟურნალში დაიბეჭდება:** წერილები, პიესები, ლექსები, მოთხრობები, სცენები, მინიატიურები, სათეატრო-სამწიგნობრო-სახელოვნო ქრონიკა ჩვენი და უცხოეთისა, რეცენზია-მიმოხილვანი, მოღვაწეთა სურათები, შარჟები და სხვა.

**მონაწილეობენ ცნობილი დამსახურებული და ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები.**

**ფასი:** წლიურად . . 10 მან. ჩერ.
ნახევარ წლით . 6 „ „
თითო ნომერი : 20 კაპ. „

მოიკითხეთ რკინის გზის კიოსკებში და გაზეთის გამყიდველებთან.

**წლიურ ხელის მომწერთ** გასული 1923 წ. ნომრები **უფასოდ მიეცემა.**

**მიიღება დასაბეჭდათ განცხადებანი დაკლებულ ფასებში.**

**რედაქცია:** თავისუფლების მოედანი, ყოფ. ქარვასლა თამამშევისა, შიგნით მეორე სართულზე.

რედაქტორის პირისპირ ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციაში.

რედაქტორი: **იოსებ იმედაშვილი.**

გამომცემელი: **ომში დაჭრილთა შრომის არტელი „ახალი წრე“.**

# თეატრი და ცხოვრება

1910-1924

წელიწადი XIV

№ 3

ფასი 20 კ. ჩერვ

„თეატრი და ცხოვრება“
ყოველკვირეული სურათე-
ბიანი ჟურნალი
რედაქციის დრ. ბინა: თავისუფლების
მოედანი, ყოფ. თამამშევის ქ-რვასლა,
მეორე სართულზე № 606.
ფოსტით: ტფილისი. რედ. „თე-
ატრი და ცხოვრება“
იოსებ იმედაშვილს.

თეატრი. პოეზია. მუსიკა. მხატვრობა. ქანდაკობა. საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, იანვრის 27 | გამოცემა 1924 წ.


## ვ. ი. ლენინი — ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი

მსოფლიო ჩარხის სრბოლას ერთი დიდი რგოლი გამოსწყდა,—

გარდაიცვალა ჩვენი დროის დიდი ადამიანი—ლენინი,—მოაზროვნე—მომქმედი, ტრიბუნი და მწერალი, ბოლშევიკთა მამამთავარი, რუსეთის ახალი ხანის დამწყები, მესამე ინტერნაციონალის შემქმნელი და მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის მესაჭე

დიდია და განუზომელი ღვაწლი მისი ძველის წყობილების დამხობისა და ახალის შექმნის წინაშე...

ლენინი წმინდა რუსის შთამომავალია. დაიბადა 1870 წ. აპრილის 10, ქ. სიმბირსკში სწავლობდა ყაზანის უნივერსიტეტში. პეტერბურგის მუშათა შორის მთავრობის საწინააღმდეგო მოძღვრების თვის გადასახლებულ იქნა ენისეის გუბერნიაში 3 წლით. აქ დაეწაფა მარქსის მოძღვრებას. იყო საფრანგეთსა და გერმანიაშიც სამეცნიერო საგნების შესასწავლად. მას შემდეგ თავგამოდებით შეუდგა მუშათა განთავისუფლების საქმეს. 1903 წ. ს.-დ პარტიის განყოფის დროს ბოლშევიკთა ჯგუფს მესვეურობდა, რომლის შემდეგ საკუთარი გეზით მიჰყავდა პარტია. 1917 წ. ოქტომბერში რუსეთში მოახდინა გადატრიალება, შექმნა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოები, სახელმწიფოს სათავეში მოექცა და მუშურ-გლეხური მთავრობის ხელისუფლების განმტკიცებას შეუდგა.

სარევოლიუციო ასპარეზზე მოღვაწეობდა 25 წ. მეტი აშკარად თუ ფარულად, სიტყვით, საქმით, წერით აქვს 30 ტომამდე ნაწერი, უმთავრესად სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი შინაარსისა.

1918 წ. მარიამობის 30, ესერებმა ტყვიით დასჭრეს, რამაც გადიტანა კიდეც ამა 1924 წ. იანვრის 21

სახელი მისი მუდამ დიდებით მოიხსენიება და მსოფლიო პროლეტარიატი არასოდეს არ დაივიწყებს თავის ბელადს, უკვდავ ილიჩს!

## იანვრის 24

**სული და სხეული.**

დაბა-სოფლებიდან ცნობები მოგვდის: სახალხო სახლი დავიწყეთ, ეკლესია კლუბად გადავაქციეთ, ვფიქრობთ სათეატრო დარბაზი ავაგოთო და სხ.

არის თემი, სადაც ამ საკითხის ირგვლივ კინკლაობენ კიდეც: არა ჩვენს სოფელში უნდა ავაგოთ, არა ჩვენშიო.

და, „ჯიბრით“, ორივე სოფელი საკუთარ სახალხო სახლის აშენების ზრუნვაშია.

ეს ყოველივე კარგია: რაც უფრო მალე მოიფინება ჩვენი დაბა-სოფლები სახალხო სახლ თეატრებით, მით უფრო უკეთესი.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ დაწყებულებას ნაკლი ახლდევნებია.

აქ არ არის ერთი გარკვეული გეგმა,—არის კედლები, არა სჩანს ლაზათი, მოხდენილობა, მიზანშეწონილი ლამაზი სხეული, რომ მის შიგნით ხელოვნების სულმა ფრთა გაშალოს.

საქართველო ხუროთმოძღვრობით ძველიდანვე ცნობილია, გარეგნულ მორთულობა-მოკაზმულობას ჩვენში დიდ ყურადღებას აქცევდენ და ეს არც დღეს უნდა დავივიწყოთ.

ჩვენი დაბა-სოფლის სახალხო სახლთა თუ თეატრთა ამგებნი ვიდრე შენობის საძირკველს ჩაჰყრიდენ, საჭიროა ხუროთმოძღვარ-ხელოვანთ გეგმას შეამუშავებინებდენ და ამის თანახმად დაიწყებდენ საქმეს.

გვახსოვს, ერთს მოზრდილ დაბაში თეატრი ააშენეს და როცა დაიზამთრა, მაშინ შენიშნეს, რომ საოუმილო მილები, საპირფარეშოები და სხვა საჭიროების ადგილები დავიწყებოდათ.

სხვა მხარეზე აღარას ვამბობთ.

რომაელნი თუ ამბობდენ: ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო, ჩვენ ვამბობთ—მშვენიერი სული მშვენიერ სხეულში აღიგზნება.

ამ მხრივ თუ დაბა-სოფლის სცენისმოყვარეთ ვერ მიუკვლევიათ, სად ვის დაამუშავებინონ სახალხო სახლ-თეატრთა გეგმა, ჩვენი მთავარი სახელოვნო კომიტეტი რაღას აკეთებს?

სად არის თეოს გამგებელი? ნუ თუ პირველის არსებობა მხოლოდ ფიქციაა, მეორესი კი—მარტო ქაღალდების მიმოწერა?!

# ქართველი მსახიობები პროფილებში

ქართული თეატრის მიმდინარე სეზონი მდიდარია შემოქმედების ცეცხლით.

ქართული თეატრის ისტორიაში ოქროს ასოებით იქნება აღბეჭდილი 1922 და 1923 წელი, როდესაც ქართულმა თეატრმა თავი დააღწია მწვავე ტკივილებს და ახალი გზების და მწვერვალების ძიების გზაზე შედგა.

ჩვენი თეატრის მომავალ ისტორიკოს არ შეუძლია გულგრილათ გაიაროს ამ ისტორიულ დატის გვერდით, რადგან მხოლოდ ამ დროიდან იწყება ქართული თეატრის აღორძინება და მისი შემოქმედებითი ცეცხლით დათრობა.

ქართული თეატრის რენესანსში ნზიური თვალებით ან. თებს მეორე თვალის მჭრელი ფაქტი:

ჩვენი სცენიური ხელოვნების ახალ ტალღებში შეჭრამ ფართო სარბიელი მისცა ქართველი მსახიობების შემოქმედებას.

ქართულ არტისტიულ ნიჭს ახლოვს ბრწყინვალე განათების დღეები წარსულში.

მაგრამ უკანასკნელ ქურუმთა წასვლით ქართულ არტისტიულ ბუნებას შემოაკლდა დაფნის გვირგვინები.

ქართული თეატრის საერთო დეკადანსმა გაანელა ქართველი მსახიობის ცეცხლი.

ისტორიულმა გარდატეხამ ქართული თეატრის ცხოვრებაში, რომელიც დაკავშირებულია კოტე მარჯანიშვილის სახელთან, კვლავ დაანთო ჩვენი თეატრის კერაზე მიმქრალი ცეცხლი და ქართველი მსახიობებიც შემოქმედების და მწვერვალებზე ასვლის წვით აათროლა.

ჩვენი წერილის მიზანია გამოვკვეთოთ იმ ადამიანების პროფილები, რომელნიც ქართ. თეატრის სამსხვერპლოზე იწვიან და ქმნიან მის დღევანდელ ფერად და თვალწარმტაც ცხოვრებას.

ჩვენ არ გვინდა ყალბი სიტყვით დავჩრდილოთ ჩვენს მიერ ჩამოსხმულ პროფილთა ხეივანი:

თვითეული პორტრეტი სიყვარულის და პატივისცემის გრძნობით იქნება გამთბარი.



გ. დავითაშვილი.



აკაკი ვასაძე.



აკაკი ხორავა.

### ვაჟთა გალერეია:

**გიორგი დავითაშვილი** ქართული სცენის კულტურაა. ის გაიზარდა და დავაჟკაცდა რუსულ სცენაზე, მაგრამ თავის ნიჭის უაღრეს განვითარების პერიოდში მან იგრძნო თავის მოვალეობა მშობლიურ სცენის წინაშე და დაუბრუნდა მას.

ქართულ სცენას შეუძლია იამაყოს გ. დავითაშვილით. მას აქვს გრძნობა და არტისტიული ნერვი. როგორც კულტურული მსახიობი, ის ღრმათ განიცდის თვითეულ როლს, მის მიერ განსახიერებული ტიპები გულწრფელობის ნიშნით არიან აღბეჭდილი. მაგრამ მთავარი დავითაშვილში არის ის, რომ მას აქვს საკუთარი, ინდივიდუალური მიდგომა ყოველ როლისადმი. გ. დავითაშვილს აქვს ის რაც ატყვევებს დარბაზს და იდუმალი გრძნობით ატოკებს მაყურებლის გულს.

მოკლე დროის განმავლობაში გ. დავითაშვილმა შექმნა დაუვიწყარი ტიპები.

მას, აწვალებს დანიის პრინცის მწუხარე სახე. მსახიობმა დაიპყრო ეს მწვერვალი. მისი უძირო გრძნობა მხოლოდ ამ ალმართში სიარულში თუ გადაიშლება ბოლომდი.

**აკაკი ვასაძე** წელგამართული მოდის; ის ჯერ კიდევ

მომავალშია. მას აქვს მუშაობის ხალისი და ენერგია. მას შესწევს გამბედაობა და ნიჭი. იმისათვის, რომ ძლიერი მსახიობი გახდეს. „ინტერესთა თამაში“ მწვერვალზე ასვლა იყო. მომავალში მას კიდევ ბევრი გამარჯვება მოელის.

გვინდა მეგობრული რჩევა მივცეთ მსახიობს: მან უეჭველათ ყურადღება უნდა მიაქციოს მიმიკას და ხმას:

პირველი საგრძნობლათ მოიკოჭლებს, ხოლო მეორე—მეტად მკვახეა მაღალ და ალაგ-ალაგ საშუალო რეგისტრებში.

**აკაკი ხორავას** სტუდიიდან მოაქვს იერიშები; მისი ნიჭი ეხლავე სცილდება სტუდიის საზღვარს. მისი ხერხემალი, როგორც არტისტის, მაგარია და გამძლე. მას, უეჭველად, დიდი მომავალი აქვს: მისი მშვენიერი არტისტიული გარეგნობა და ძლიერი ხმა თავდებია ამის.

დანარჩენი ახალგაზრდები: უშ. ჩხეიძე, ალ ჟორჟოლიანი, შალ. ღამბაშიძე, დ. მჟავია, მ. ღოღთქიფანიძე და სხვები მტკიცედ სდგანან ქართული თეატრის სადარაჯოზე და ღირსეულად ასრულებენ მათზე დაკისრებულ ბრძოლის ამოცანებს.

**ნიკო გოცირიძე** უკანასკნელია ტფილელ „მოქალაქის“ ტიპზე აღზრდილ მსახიობთა პლეადიდან; ის ღირსეული მემკვიდრეა ვასო აბაშიძის ტრადიციების.

ნ. გოცირიძე თითქმის მარტო იბრძვის კომიკურ როლების ფრონტზე. საერთო განმაახლებელმა მუშაობამ ისიც ჩააბა თავის ფირხულში; აღსანიშნავია ნ. გოცირიძის ნიჭი ევროპიულ პიესებში.



თამარ ჭავჭავაძე.



ვერიკო ანჯაფარიძე.

მიმდინარე სეზონი გამარჯვებებით არის მოფენილი.

**პლ. კორიშელს** აქვს თავის ამპლუა, სადაც ის ბრჭყვიალი თ ვადია; მის სახელთან მრავალი სახეებია დაკავშირებული განუყრელათ. მისი ყველაზე უფრო ბრწყინვალე გამარჯვება წრევანდელ სეზონში იყო „გმირი“.

### ქალთა ყვავილნარი:

**ელენე დონაური** (სურათი იხ. „თ. და ც.“ № 2), როგორც გ დავითაშვილი, რუსული სცენიდან ეწვია ქართულ თეატრს. წრევანდელ სეზონში ჩვენ არ გვინახავს ის არც ერთ გამართულ როლში

ე დონაურს აქვს გრძნობა და შინაგანი ექსპრესია; მან იცის როლის სულში ჩაწვდომა.

„ლონდა“ მისი აღმოსავლეთური ტემპერამენტის და სინაზის გამონათება იყო.

მას აქვს არტისტიული ნაპერწკალი, რომელსაც შეუძლია გრძნობის კოცონი დაანთოს ქართულ სცენაზე.

**ვერიკო ანჯაფარიძე** ნაზი და მიმზიდველია, როგორც დეზდემონა და ოფელია. ის ქართული სცენის უკეთილშობილესი მარკიზაა დაწმენდილი გემოვნებით და ზღვა გრძნობით.

მისი გულის სიღრმეში ჩაძირული ხავერდოვანი ხმა სიყვარულის და სინაზის ნაპერწკლებს ისვრის აუდიტორიაში და გიპნოზივით მოქმედობს მასზე.

ვ. ანჯაფარიძის თვითეული გამოსვლა დარბილებულია კულტურით და როლისადმი შეგნებული მიდგომით.

„ინტერესთა თამაში“ და „გმირი“ მისი დღესასწაული იყო.

**თამარ ჭავჭავაძე** ქართულ რასიულ ტემპერამენტის სურნელებაა; მასში მომსკდარია სამხრეთის ვნება და ცეცხლი.

მან იცის უეცარი მოვარდნა და დათრობა ბოლომდე მისი გრძნობა გულწრფელობა. და ტემპერამენტი იტაცებს მაყურებელს და ელექტროს ნაკადივით უვლის მას ტანში.

თ. ჭავჭავაძეში ქართულმა ტემპერამენტმა ჯვარი დაიწერა ესპანურ გახელებაზე და თავდავიწყებაზე.

თ. ჭავჭავაძის არტისტიული ხერხემალი გამძლეა, როგორც ეგვიპტის პირამიდები.

**ალისა ქიქოძე** იშვიათი სტუმარია წელს ქართული სცენის. მისი არტისტიული ბუნება ისეთივე ნაზი და მომხიბლავია, როგორც მისი სახე და გარეგნობა.

(სურათი იხ. შემდეგ №-ში)

მას აქვს ყველაფერი, რომ იყოს ქართული თეატრის უნაზესი სული.

დანარჩენი ახალგაზრდები მტკიცეთ და გაბედულათ მიაბიჯებენ წინ.

„ძველების“ შესახებ არას ვიტყვით, რადგან მათი პორტრეტებით აფერადებულია ქართული ჟურნალ-გაზეთები.

**შალვა ბუაჩიძე.**

# მ ო წ ო დ ე ბ ა

**საიუბილეო კომიტეტისა**

ჩვენი სცენის დიდებათა— **ვასო აბაშიძისა** და **მარიამ საფაროვ-აბაშიძის** ასული **ტასო** 25 წელიწადია, რაც ამშვენებს ქართულ თეატრს. მისი მოკიაფე ნიჭი, ცხოველი, რაკრაკა ტემპერამენტი, მის მიერ გაპიროვნებული სახეები აუარებელი სხვადასხვა როლისა ყველას თვალწინ გვიდგას: როზი, ნუცა, რაუტენდელეინ, კატრინ, ოფელია, დორინ, ტუანეტა, როზიხა, გაიანე, ისმენე, ლიზა, ლილი, ლუიზა, ფაიხოშ, ავთანდილ, ჰანელე, თინათინ, ცირა, პასკვალა, პერიკოლა, ბეტინა და მრავალი სხვა არიან ძვირფასი საჩუქრები ტასოსი ქართველი ხალხისადმი მიძღვნილი ამ 25 წლის განმავლობაში.



1899 1924

**ტ ა ს ო  ა ბ ა შ ი ძ ი ს**

ყველამ იცის როლი და მნიშვნელობა ქართული თეატრისა, როგორც წარსულში, აგრეთვე აწმყოში და სხვათა თავდადებასა და ღვაწლთან ეროად უეჭველად აღსანიშნავია და უხვი ჯილდოს ღირსი **ტასო აბაშიძის** შემოქმედება.

საქართველოს მსახიობთა კულტურული **კავშირის საბჭო** და **ტასო აბაშიძის** საიუბილეო კომიტეტი ამით მოუწოდებენ მთლად საქართველოს, რათა შესაფერი ზეიმით იქმნეს აღნიშნული **ტასოს** 25 წლის სასცენო მოღვაწეობის **საიუბილეო დღე: კვირა, 10 თებერვალი 1924** წლისა.

რარწმუნებული ვართ: როგორც საქართველოს ყველა თეატრები და სახელოვნო და კულტურული დაწესებულებანი, ისე ჩვენი შორეული და ახლობელი მეზობლები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ ამ დღესასწაულში, რისთვისაც საიუბილეო კომიტეტი სთხოვს ყველას წინასწარ აცნობონ ამავე კომიტეტს—ტფილისში, რუსთველის თეატრში თავიანთი მონაწილეობის შესახებ.

საიუბილეო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე: განათლების სახალხო კომისარი თავმჯდომარე მთავარ სახელოვნო კომიტეტისა **დავით კანდელაკი.**

მსახიობთა კულტურული კავშირისა და საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე:

**აკაკი ფაღავა.**

წ ე ვ რ ნ ი:

(ანბანის რიგით)

ნინო ამირეჯიბისა, სოლ. ახვლედიანი, ალ. ახმეტელი, კ. ანდრონიკაშვილი, ან. აბელიშვილისა, გრ. აბელიშვილი, ი. ალიხანიანი, შალვა აფხაიძე, ბ. ბიბინეიშვილი, ივ. გომართელი, ი. გომართელისა, ი. გრიშაშვილი, შალვა დადიანი, ალ. დარახველიძე, ივ. ვარაზაშვილი, ილია ზურაბიშვილი, ივ. თურქია, პოლო იაშვილი, ვ. კილოსანიძე, ი. ლორთქიფანიძე, მირზა-დაუდ რასულ-ზადე, არჩილ მიქაძე, ეფემია მესხი, ვარ. მესხი, კოტე მარჯანიშვილი, კოტე მაყაშვილი, გრ. რობაქიძე, ვლ. სუხიშვილი, ვ. სარაჯიშვილი, ვლ. სვიმონიშვილი, დ. სიდამონ-ერისთავი, ტიციან ტაბიძე, ალ. ტუკანოვი, ვ. ფალიაშვილი, ზ. ფალიაშვილი, მ. ქორელი, ლეო ქიაჩელი, გ. ყურულაშვილი, დათ. ჩხეიძე.

მდივანი **ვ. ჯიქია.**

ქ. ტფილისი. 1924 წლის იანვრის 12.

# დ ა მ ჭ კ ნ ა რ ი ი ა

**(დღიურიდან)**

28/3—21 წ. ქუთაისი.

ერთ დამჭკნარ იას ვატარებ გულზე...

გუშინ მწვანე საზაფხულო ჟაკეტზე აღტაცებით დავიბნიე ის; ვაკოცე კიდეც... საღამოს კი მიჩა იმავ ჟაკეტზე მიბნეული, კედელზე მიკიდებული,—შეუმჩნევლიდ მივიწყებული.

დღეს მშვენიერი, თბილი, სინათლიანი დღე იყო. წასვლის დროს კვლავ ჩავიცვი მწვანე ჟაკეტი...

გული გრძნობდა გაზაფხულს, სიცოცხლეს!..

მოულოდნელად ხელი მოვკარ იას. დამჭკნარიყო.. ისევე ებნია მარტოდ... წამებით ნაჭკნობი შემომცქეროდა...

— რად დამივიწყე?.. ეხლა ხომ უნდა მომისროლო, რად?!

— არა, ჩემო იავ, ჩემთან იყავი, ჩემ გულზე.. არვის დაუთმობ ჩენს თავს, არ გადაგისვრი სანამ შენ თითონ არ მოსწყდები, არ მომშორდები, სანამ შენ თითონ არ დამტოვებ...

მეც შენებრ სევდით ვგრძნობ ამ გაზაფხულს... ნაღვლიან სიყვარულს...

დარჩი ჩემთან, ებნიე ჩემ გულზე...

ჩემო სიყვარულო ჩემთან გატარებ..

... ღამდება კიდეც. ელექტრონებით ნათდება ქუჩა.

მივდივარ ხიდზე.

ჩემს ახლო-მახლოა არავინა სჩანს... შორით მოდიან სილუეტებად ქცეულნი პარნი... ისმის რიონის ხმა...

ფიქრი მიტაცებს... ოცნება.

იაც ჩემთან არის.

მიყვარს მჭკნარი ია, მიყვარს ჩემი—სევდით მოცული

სიყვარული ოცნება...

...—ნინი სალამი!.. რამ ჩაგაფიქრა?..

თითქოს სიზმარში ვიყავ და უეცრივ გამომარკვიეს.

— რამ ჩამაფიქრა, გითხრა? . ერთ დამჭკნარ იას ვატარებ გულზე, ვფიქრობ ნაღვლიან გაზაფხულზე და სევდით მოცულ, ოცნებათ ქცეულ

ნაზ სიყვარულზე...

... ერთ დამჭკნარ იას ვატარებ გულზე...

1923 წ. დეკემბრის 14.

ტფილისი.

დღეს—სხვა რიცხვია.

გავიდა დრო. მოსწყდა ია. ფერი იცვალა ქაკეტმა, წავიდა გაზაფხული, დაიფერფლა ზაფხული და... დადგა . ცრემლ მორეული

სევდით მღიმარე შემოდგომა ..

ისმის სახურავიდან მოწყვეტილ წვეთების ხმა.

მხ-ლოდ ჩემი ია მოსწყდა უჩუმრად... უხმოდ..

გზაზე გამებნა... ცხოვრების გზაზე!..

მაზედ ფიქრობენ კრთომით და თრთოლვით სევდით მღიმარე ანკარა ცრემლები ..

ფრთხილად, შეუმჩნევლად იპარებიან ხოლმე და სხივებით თითქოს სწვდებიან, ეძახიან იას, მაგრამ ამაოდ...

გულჩათხრობილნი, უსიტყვოდ, იქვე ყრუდ ეცემიან...

კვდებიან... ქრებიან... და ასე.

დაიკარგა ია. მოკვდენ ცრემლები... გაქრა სიყვარული...

წავიდა გაზაფხული... დაიფერფლა უშნოდ ზაფხული, დადგა ცრემლ-მორეული გულ-მტკივნეულად მოხარხარე შემოდგომა... და ....ქარი დაღმუის სხეულს ..

მაგრამ სულს... ?!...—

— და ვეძებ ეხლა სხვაგვარ სიხარულს... აღარ უმღერ სიყვარულს... და ვიწყებ ხეტიალს და...

არა სიარულს... **ნინი ჩიხლაძე.**



**ვასო აბაშიძე და ზაალ მაჩაბელი**

80-იან წლებში.

**ტრ. რამიშვილი.**

# სიყვარულის საზღვარზე

(დასასრული. იხ. „თ. და ც." 1923 წ. № 1, 2. და 3, 1024 წ. № 1 და 2 (5).

**ელპ.** იყო მომენტი, როდესაც მოულოდნელათ გამიყარა თვალი თვალში და რომ უეცრივ დერეფანში არ გასულიყო, უთუოდ შევიშლებოდი.

**ედიშ.** აი თურმე რა ყოფილა, მე კი იქ ჩემთვის მუსიკით ვერთობოდი.

**ელპ.** მასწავლეთ ძვირფასო ედიშერ, როგორ დავახწიო თავი ამ უბედურ მდგომარეობას, მასწავლეთ!..

**ედიშ.** გულწრფელობით, რომელიც ასე ბევრია თქვენში, მაგრამ მაგაზე მერე, ეხლა მინდა ცოტა ხნით თქვენს გულს მიუკაკუნო, როგორ ფიქრობთ, ნებას მომცემს?

**ელპ.** უთუოდ.

**ედიშ.** მინდა გკითხოთ, ისევ გიყვართ ის?

**ელპ.** ახ, ნუ ამიშალეთ იარები.

**ედიშ.** მაინც, მაინც?

**ელპ.** ასეც რომ იყოს, მე შემწევს ძალა დავთრგუნო ჩემში მაცდური და ბოროტი ვნება.

**ედიშ.** მჯერა, ვაშა! თქვენი მაღალი ზნეობა, გრძნობა, და გონება ერთმანეთს ემუსიკებიან და, ვით მოსიყვარულე დები, ერთად მიდიან, მიიმღერიან. ამ საიმედო ფარხმალმა მეტად დიდი სამსახური გაგიწიათ. მე იმაშიაც კი ვარ დარწმუნებული, რომ თქვენს შორის რამდენიმე კოცნის მეტი სხვა მარცხი არ მომხდარა.

**ელპ.** (თვალებზე ხელს მიიფარებს) არა, არა, ათასჯერ არა! რაიმე მაგის მსგავსი რომ ყოფილიყოს, პატიოსნების გეფიცებით, იმ საბედისწერო ღამეს თავს მოვიკლავდი. ეხლა ჩემი სავანე შავ-ბნელ სამარის წიაღი იქნებოდა.

**ედიშ.** მჯერა, მჯერა.

**ელპ.** ღმერთო ჩემო, რა გათახსირებული კაცი ყოფილა, რა გათახსირებული!

**ედიშ.** ვინ, ბატონო? (წუთით სიჩუმე).

**ელპ** გითხრათ ახალი ამბავი?

**ედიშ.** აბა, აბა!

**ელპ.** თქვენი მოსვლის ნახევარი საათის წინეთ მცირე ხნით გიორგიმ მოირბინა გიმნაზიიდან. არ გასულა სამი წუთი, რომ ისიც მოგვადგა კარს.

**ედიშ.** როგორ, შერმანდო?

**ელპ.** დიახ!

**ედიშ.** ბიჭოს! რისთვის იყო?

**ელპ.** საზღვარგარეთ გამგზავრების წინ გამოგვემშვიდობა.

**ედიშ.** ღმერთო, რა ახირებული კაცია! კიდევ კარგი, გიორგი შინ ყოფილა.

# სახალხო სახლი

## წერილი I

### „რაც გინახავს ველარ ნახავ“.

1923 წ. 9 დეკემბერს ქართველმა საზოგადოებამ თბილი მადლობა უთხრა სახალხო თეატრის ასპარეზზე 30 წლის პატიოსან მუშაობას.

ზეიმის ატმოსფერაში გარკვევით მოხაზული იყო ისტორიული თავგანწირვის ერთი ნათელი სახე.

9 დეკემბერის დღესასწაულზე სინამდვილიდან მოკვეთილი იქნა რეალი მაგალითი ენერგიული მოღვაწეობისა.

სახალხო სახლი იყო ტრიბუნა—მოსჭრა გ. ყურულაშვილმა.

სახალხო სახლი—რევოლიუციონური ფსიხიკის დამკვიდრებისა და განვითარებისათვის,—მოგვითხრობდა დამშვიდებით მიხა ცხაკაია...

უდავოა, რომ იმ დრომდე, ვიდრე თებერვლის რევოლიუციის მარჯვე გაქანებამ არ დაარღვია სიმტკიცე რომანოვების ბატონობისა, სახალხო სახლის სცენა—ეს იყო ტრიბუნა, მორთული მძიმე კონსპირაციის შესამოსით, ჟანდარმერიის ინსტიქტისათვის ძნელად გასაგები, მაგრამ შესამოსის ქვეშ ძლიერი სული და ენერგია მთელი პლეადისა—მოღვაწეების, რომელთა მუშაობის ობიექტი იყო რთული საგანი—მშრომელი ხალხის კულტურული მოღონიერება და მისი პსიქოლოგიური ყოფის სინამდვილეში დანთება სიყვარულისა რევოლიუციონური შემოქმედებისადმი.

შეუწყვეტელი კონფლიქტები მუშასა და მწარმოებელს შორის, ხშირი „კატასტროფა“ მშრომელი მასის სინამდვილეში, ხშირი მოვლენა „იმედის დალუპვისა“, გამოწვეული კაპიტალისტური მეურნეობის სიმახინჯით, „მაღაროს უფროსი მუშის“ დალუპვა, რომელიც კაპიტალისტის სახეზე მწუხარე მოძრაობასაც ვერ იწვევს, რადგანაც მუშის დაღუპვა მის სურვილს შეიცავდა; ბოროტი მოძრაობა მეფის პოლიციის ნებისყოფისა, მიმართული რევოლიუციონური პსიხიკის დაშლისაკენ, გმირობის მკვეთრი სილუეტები: „სულელის“ ღრეჭით შესვლა „ლორების და ქონის ტომრების“ სამფლობელოში, აფეთქების მიზნით მავნე ოჯახის მავნე წევრებისა,—აი, რა სჩანდა დიდი სიფრთხილით 30 წლის განმავლობაში სახალხო სახლის სცენაზე.

ცხადია ეს იყო საჭირო, აუცილებელი.

აშკარაც სჩანს ის უტყუარი დებულება, რომ სახალხო სახლს, როგორც თეატრს, დაკისრებული ჰქონდა პოლიტიკური მისიაც.

მაგრამ პარალელურად იყო თუ არა დაინტერესება მხატვრული დადგმებით?

სჩანდა თუ არა ლტოლვა ახალი სცენიური მიღწევისაკენ?

სჩანდა თუ არა რამპის განათებაში ჯანსაღი სინათლე ახალი სცენიური შემოქმედებისა?

რასაკვირველია, არა!

შეუძლებელიც იყო.

ქალის როლს მამაკაცი ასრულებდა.

---

**ელპ.** დიახ! (წამით პაუზა).

**ედიშ.** ახ, დავანებოთ ამას თავი, თქვენ ის მითხარით, თუ რას ფიქრობთ ქმარზე?

**ელპ.** რა საჭიროა ეს მეორე შეკითხვა. ამის შესახებ მე თქვენ მგონი გადაჭრით გიპასუხეთ იქ, ბერიეთში.

**ედიშ.** საქმეც იმაშია, რომ—მიპასუხეთ და ვერც მიპასუხეთ.

**ელპ.** მე სხვა-ნაირი ლაპარაკი არ შემიძლიან.

**ედიშ.** გიმეორებთ, მეტის ღირსია. თუმცა თქვენი პირობებიც მისაღებია. მის მიერ ამ შემთხვევის ფილოსოფიურად განჭვრეტა დიდი კულტურული მიღწევაა. ყურში გეტყვი დაია, რომ ეს ჩუმი და უჩინარი პიროვნება დიდ სულს ატარებს თვის არსებაში და თუ ჭკუა გაქვთ, მაგრად ჩასჭიდეთ ხელი. ვერ გამიგია, ღმერთმანი, ასეთ კაცებს რატომ არ სწყალობენ ქალები! ექიმ პავლიაშვილზე გაგიგიათ რამე?

**ელპ.** რომელ პავლიაშვილზე?

**ედიშ.** აი იმაზე, ჩვენმა კუდაბზიკებმა რომ პირი შეჰკრეს და ვისაც ხელი სთხოვა—ყველამ უარი სტკიცა.

**ელპ.** ალბად იყო მიზეზი?

**ედიშ** მეტად უმნიშვნელო.

**ელპ.** სახელდობრ?

**ედიშ.** პატიოსანი და პატარძალივით მორცხვი პრაკტიკოსი იყო, როგორც ასეთს, ქალებში კუდის გაქნევა მაგრე რიგათ არ ეხერხებოდა. იმ დამარცხების შემდეგ, გარემოებამ ჩრდილოეთში ამოაყოფინა თავი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ლამაზი ქალების ქვეყანაა, იმ უბედური დღისამ აიღო და შეირთო ერთი ისეთი ავყია დუნდრუკელა ექიმი ქალი, რომ მის დანახვაზე все лошади пугаются, извозчики ругаются.

**ელპ.** (ნელა იცინის) ახ, რა კუდიანი ხართ, რა კუდიანი.

**ედიშ.** დიახ, ჩემო ბატონო, ასე იციან ჩვენში.

**მერ.** (შემოდის—შუა კარებიდან შედის მარცხნივ).

**ედიშ.** (მერიკოს, რომელიც ისევ მალე, გამოვიდა ოთახიდან) მერი!

**მერ.** ბატონო!

**ედიშ.** მოიცა! (ელპიდას მერიზე) ვერ წარმოიდგენთ, რა საინტერესო იყო დღეს დილით მეჩექმის როლში (ფეხებზე აცქერდება) აბა, ერთი ვნახოთ ეს შენი ნამუშევარი, ერთი უყურეთ რეები სცოდნია. სხვა! დაამთავრეთ რომანი—„მოლიპულ გზაზე“?

**მერ.** დავამთავრე და ჩემი ალტაცებაც განუზომელია.

**ედიშ.** აკი გითხარით.

ოღონდ სცენიდან ვინმეს ეთქვა—რა კარგია თავისუფლება, ძმობა, ერთობა, სიყვარული და ეს საკმარისი იყო.

მაშასადამე აქ არის სახალხო თეატრი, როგორც ტრიბუნა, საიდანაც ისმის ძლიერი ხმა მოწოდებისა.

ეპოქაც ამას მოითხოვდა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც მეფის ჟანდარმებს „პაგონები" ააგლიჯა რევოლიუციის მაგარმა ხელმა, სცენა, როგორც ტრიბუნა, საიდანაც ისმის კვლავ განმეორებით ძლიერი ხმა პოლიტიკური ბრძოლისაკენ მოწოდებისა, უნდა იქნეს გაუქმებული.

ათეული წლებით შექმნილი ტრადიციის გაგრძელება შეუძლებელია.

ეს სცენიური ტრადიცია უნდა დაიშალოს.

სახალხო სახლმა, როგორც ტრიბუნამ თავისი მისია დაამთავრა, და ეხლა საჭიროა სუფთა ხელით ამ ტრიბუნის სცენიდან გატანა და მოგონებათა პანთეონში დადგმა.

ჩვენ მრავალჯერ განვიმეორებთ თბილ მადლობას ქართული ბუნების კეთილშობილებით... მაგრამ თანადროულს პირობებში, მშრომელი კლასის პოლიტიკური გამარჯვების ეპოქაში სახალხო სახლი, როგორც თეატრი, როგორც სცენიური სინამდვილე ვერ გაჰყვება ძველ გზას და ყოველ იმათგანს, ვინც იქნება დამცველი ძველი გზისა, ძველი მეთოდისა და ფორმის, სახალხო სახლის კეთილისმყოფელმა უნდა უპასუხოს: „რაც გინახავს ველარ ნახავ".

**მ. ღვამიჩავა.**

## განკითხვის ჟამი

მოხრილ ორბიტს გაუსხლტა მიწა,
გადაიბზარა მსოფლიოს გარსი;
ძველი ეტრატი სულ დაიფხრიწა
და მახვილს იქნევს ახალი მარსი...

ნაცნობ სიმებზე გადატყდა წკირა.
მოკვდა ბალდერი გულ-დაუსრული.
სულმა ოცნებაც გამოიტირა
და გაითხარა შავი უფსკრული.

ძველ ლეგენდებზე დღეს არვინ მღერის,
მაგრამ ბევრია წაუკითხავი:
აპოკალიპსი თავზე დაგვცქერის—
არვინ დარჩება განუკითხავი.

ყოფნის უფსკრულში ცქერა ძნელია;
(სულო იქ მოსჩანს შენი სიგლახე).
განკითხვის ჟამში მეტად ბნელია
ძმების გამყიდველ იუდას სახე..

მსოფლიოს ცენტრი კვლავ იწვის ალით,
ბნელი სამყარო რომ გადათელოს...

**ს. ფურუშაძე.**

**მერ.** ახ, რომ იცოდეთ, ძია ედიშერ, როგორ დამწყვიტა გული ამ რომანმა, როგორ დამწყვიტა. თქვენი თქმისა არ იყოს, ავტორი მართლაც რომ ჩვენი ტურგენევია.

**სალ.** ხმა. „მერიკო, მერიკო, აქ მოდი ერთს წუთას" (ვასძახებს.)

**მერ.** ახირებულია, ეხლა იქ არ ვიყავი! მოვდივარ მოვდივარ.

**ედიშ.** მოითმინეთ, ბადმუაზელ, მოითმინეთ. რამე უნდა გიჩვენო.

**მერ.** აბა, აბა!

**ედიშ.** (მაგიდიდან აიღებს შეხვეულს ნივთს და გადისცემს) ფეხსაცმელი გიყიდეთ. მშვიდობაში.

**მერ.** ღმერთო ჩემო, რა დავალებაა.

**ედიშ.** კარგი ერთი, ნუ ცერემონიობ.

**მერ.** ახ ძია, რა გულკეთილი ხართ! არ ვიცი ღმერთმანი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა.

**ედიშ.** ბევრს ნუ ლაპარაკობ, არაფერსაც არა გთხოვ. თუ არ დაიშლი. აი რომ დავბერდები, აიღე და ერთი კოლოფი ბურნუთი მიყიდე. (ორივენი იცინიან).

**მერ.** (მივარდება და გრძნობით ხელებს დაუჭერს) რა კარგი ხართ, ძია ედიშერ, რა კარგი.

**ედიშ.** ჭეშმარიტად სულ სხვა ბიჭი ვარ.

**მერ.** წავალ ეხლა და ბებიასაც ვუჩვენებ ამ იშვიათ საჩუქარს. (ფეხსაცმელებით გადის შუა კარებში.—ედიშერი ელპიდას მუნჯურად ელაპარაკება).

**სალ.** (შემოდის შუა კარებიდან) შვილო ედიშერ, ეს რა ამბავია, ამდენი სიკეთე როდის უნდა აგინაზღაუროთ?

**ედიშ.** არა ღირს, ბატონო, ამდენი ლაპარაკი ამ უბრალო საქმზე.

**სალ.** კარგი, კარგი, გავჩუმდები. დაიგვიანე, უნდა დაგაჯარიმო. შენს ლოდინში თვალები დამებრიცა, თავის დროზე ყავაც მოგიმზადე, მაგრამ რომ არ მოხვედი?

**ედიშ.** გმადლობთ ქალბატონო სალომე, გმადლობთ. რას იზამ, ათასი ნაცნობი, ათასი წვრილმანი, ვინ იცის ვის არ გადავეყარე. ბოლოს, როგორც იქნა ყველას დავაღწიე თავი და თქვენკენ გამოვეშურე.

**სალ.** (ელპიდაზე) როგორ ატყობ მოყვარევ, დღეს მგონი კაი ფეხზეა ჩემი ნაზი ბრძოლა.

**ედიშ.** გაცილებით, გაცილებით.

**სალ.** ოი, შენ კი გეთაყვანე, ჩვენო მიქელ-გაბრიელო.

**ედიშ.** (იცინის).

**ელპ.** (უეცრივ იმასაც გაეცინება) ახ, დედა, დედა რანაირი ლაპარაკი იცი.

**სალ.** (ედიშერს) თუ შენი თავი ცოცხალი გვეყოლება, მტერ-დუშმანი ვერაფერს დაგვაკლებს·

# ჩვენი მსახიობნი



ნიკო გოკირიძე

(იხ. ამავე ნომერში წერილი „ქართველი მსახიობნი პროფილებში“)

# კაინი

ფერმკრთალ სახეზე ნისლი დაწვება,
გაარღვევს წრეებს უცხო საბელი
და დაიღვრება ცრემლი ღაწვებად:
ორი ათასჯერ კვდება აბელი!

—

მიემატება ერის წმიდანებს
ნაცნობი ძველი: სისხლის საინი
და ცოდვას მაინც არ შეინანებს
თმააბურძგვნილი სახე კაინის.

—

ქაჯების კართან სული დააბა.
წმინდა, უკვდავი დაჰკმო ტაძარი,
„კაინ, შენი ძმა, სადაა აბა“,—
მოესმის მუდამ ეს ხმა საზარი.

—

იყო ამაყი, ვით კეისარი,
და არა ჰგრძნობდა ტანჯვას სადარისს,
მაგრამ ჰხვდებოდა მის მკერდს ისარი:
„კაინ! შენი ძმა, მითხარ, სად არის?“

—

არსად საშველი. ბედი ტიალი.
თავისი ხელი ყველგან ამეფა,
მაგრამ მობეზრდა მას ხეტიალი
და შერჩა მხოლოდ გესლი, წამება.

—

**ედიშ.** აბა გაბედოს, დედას უტირებ, ჯვარი აქა კუდიანებო, ჯვაოი აქა! თქვენი სვით და თქიენი სჭამეთ, ჩვენსას ჯვარი დაგვიწერეთ უუუ!

**სალ.** ოი, შენი მოსხლეტილი ოხუნჯობის ჭირიმე ჩემო შავტრუხა ბიჭო. (ედიშერი და ელპიდა იცინიან)

**ედიშ.** მართლა, ბიჭუნა სად არის, რატომ არ მესმის მისი ციური ლიკლიკი?

**სალ.** ენაცვალოს ბებო, აგერ მეზობლიანთ მელანომ გაიყვანა ქუჩაში.

**ედიშ.** რომ იცოდეთ რა ყოფა ჰქონდა, მისი ყიჟინა ცასა, სწვდებოდა. ისე შევეჩვიეთ, რომ თუ არ ელპიდა, ასე ადვილად არ დაგითმობდით.

**სალ.** ხე, ხე, ხე, ალბათ ალბათ!. უეცრივ, შვილო ედიშერ, მითხარი, რომ ცოლქმარს შეარიგებ, რითაც კვლავ დაუბრუნებ ამ ოჯახს სიხარულს და ბედნიერებას.

**ედიშ.** უთუოდ, უთუოდ.

**სალ.** შემოგივლე, შემოგევლე! (დაირეკება ზარი) :ჰა, ალბათ გიორგია. (დერეფანში შემოდის გიორგიც).

**მერ.** (უკან მოჰყვება პორტფელით ხელში და გაზეთის ქაღალდში რაღაც ფაქიზათ გახვეული ნივთით).

**ედიშ.** (გიორგის შემოსვლისას) ვინც მოვიდა—გაუმარჯოს!]

**სალ.** მოდი, შენი ჭირიმე, მოდი დაისვენე, მოგიკვდეს სალომე, ვინ იცის როგორ მოგშივდა და მოიქანცე, სულ ცოტაც და სადილიც მზად იქნება.

**ედიშ.** დღეს უუუოდ უნდა ვინადიმოთ.

**გიორ.** (სალომეს) აი ბატონო, გიყიდე რაც დამავალე, არ ვიცი კი როგორ მოგეწონება.

**ედიშ.** (გიორგის ხელში შენიშნავ ახალ ჯოხს) ბიჭოს, ახალი ჯოხი, მონოგრამით, საიდან სადაო?!

**გიორ** მოწაფეებმა მიძღვნეს. რატომ დღესაც არ შემოიარე? დირექტორი შენით სულ მოიხიბლა.

**ედიშ.** ვერ მოგართვი! (ელპიდას) ღალატია, ფხიზლათ იყავით. გუშინ ვესტუმრე გიმნაზიაში და იმის მაგივრათ, რომ შესაფერი პატივი ეცა, აილო და მეექვსე კლასში მათემატიკის გაკვეთილი მიმაცემინა, თითონ კი იმ დროს ფოიეში ვიღაც ლამაზ პედაგოგიჩკას ეარშიყებოდა. ჩვენთან პატარძალივითაა ჩაპუწკული, ისე კი, თურმე რა ყოფილა. თუ არ იყოჩაღებთ, ის ქალბატონი თქვენს ადგილს მალე დაიჭერს ამ ოჯახში. როცა შერიგებაზე ჩამოუგდე სიტყვა, ტუჩაბზეკით მითხრა: „დამანებე თავი, ჩემ საქმეს მე თვით მოვუვლიო“. თუ ერთ-

და მრისხანებამ სძლია, შეეხო.
შედრკა გულადი, ღონეუკლები.
სასტიკი იყო ბუნების ეხო
და უცოდველი როგორც ნუკრები

—

ტანჯვა მარადი. ფიქრთა აგება.
უსაზღვროება, არსად საბმელი
ჰქუხავს, მრისხანებს ზევით განგება:
„კაინ! სად არის, მითხარ, აბელი!“

—

და ალარ სთვლიდა სიკვდილს იოტად.
აივსო ჭიქა, ბრაზის სტრიქონი.
„სიკ დილი მინდა!“, ის გაჰკიოდა
როგორც საყვირი იერიქონის.

—

„არა და არა! სიკვდილი გსურდა?
მაშინ შენ ამას ალარ იზამდი.
შენი სიცოცხლე მე არ შემშურდა,
იცოცხლებ კაინ, უკუნისამდე!“

—

„სატანავ, ქაჯო, მოდით, მიშველეთ...“
კაინი ბრაზობს, მას შემდეგ ჰყვირის
და ისმის ჯვარცმა, სისხლი, სისველე,
წამება წლების, თვეების, კვირის...

—

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
მატულოის სისხლი როგორც კრებული...
კაინმა ჰღვარა. მიწამ იზიდა
და დღესაც ჰკივის გააფთრებული
სისხლი აბელის დედამიწიდან.

გერცელ ბააზოვი.

ღამე 9 აბის.
აგარაკი ბორჯომი.

# ჩვენი მსახიობნი



პლ. კორიშელი.

(იხ. ამავე ნომერში წერილი „ქართველი მსახიობ ნი პროფილებში“).

მა, ვსთქვათ, ამ დილით ჩამიქრო კერა, შუადღისას ვინმე რუხ კაბიანი მოვა და ყოველივეს მოაწესრიგებსო. მერე მომადგა ბატონო და რიები არ მაკადრა: „ნეტავი შენ საქმე გამოგლევია, მუდამ სხვის გულში ხელის ფათური გიყვარდა და ეხლა კიდევ მაჭანკლობაც დაგიწყიაო. კიდეც რომ შეურიგდე, რა გარანტია მაქვს ხვალ და ზეგ სხვაზე არ გამცვლის?“ ერთი ბუდიდან ამოხტა მეორეში ველარ ჩახტა, აბდა-უბდა გადასკუპდაო. ქალები გამოჩენილ პიროვნებაზე მონადირე ხალხია, მე კი ერთი უპრეტენზიო პედაგოგი, რა იმათი საკადრისი ვარო“. (ელპიდას თვალს ჩაუკრავს და საიდუმლოთ) ზორბათ მივსცხე. (უეცრივ) ახ კმარა ხუმრობა, დროა საქმეს შეუდგეთ. ნათლია ჩემო! (წელზე ხელს მოხვევს და ხელზედაც ეამბორება). არ იწყინო, ვიცინი, მაგრამ ხომ იცით, რომ „სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა“. (გიორგის) თუ შენ შუბლს არ გაიხსნი, ავიღებ და ცოლს ისევ მოგტაცებ. (ელპიდას თავაზიანად) დაბრძანდით! (ელპიდა ჯდება).

**გიორ.** (უეცრივ). მართლა, გზაში შემხვდა მწერალი დენდი.

**ედიშ.** (გახარებული) ძვირფასი დადი! რა გამახარე, აკი ბეთლემშიაო!?

**გიორ.** დარულებული რომანით გუშინწინ დაბრუნებულა.

**ედიშ.** ვაშა!

**გიორ.** ცუღლუტი კოკაც თან მოჰყოლია.

**ედიშ.** ხა, ხა, ხა! და უმღერის მას ახალ მოდის სერენადებს განა!

**გიორ.** ზარხოშად იყო.

**ედიშ.** ვინ იცის რამდენი გაცინა.

**გიო.** ერთობ, ერთობ, მოგიკითხა ორივენი სიყვარულით და შემპირდა: ხვალ გინახულებ ჩემი ამალითო.

**ედიშ.** ხუმრობა იქით და პირბადრი დენდის ეს იშვიათი მოლოგინება შესაფერად უნდა აღინიშნოს.

**გიორ.** (პორტფელს აიღებს და მიდის მარჯვნივ ოთახისკენ).

**ედიშ.** გიორგი მოიცა რამე უნდა გითხრა.

**გიორ.** (შედგება კარებთან) ეხლავ (შედის ოთახში).

**ედიშ.** (ელპიდას) მე ვიწყებ, ან ეხლა ან არასოდეს.

**გიორ.** (გამოდის უპორტფელოდ და გამოილაპარაკებს). მე მზადა ვარ თქვენ სამსახურად.

**ედიშ.** (წამის შემდეგ) ჯენტლმენო! ოჯახში მომხდარმა სამწუხარო ფაქტმა, მეტად შეურაცგყო და ნაზი, მოსიყვარულე გულიც საგრძნობლად დაგისერა. ჩემი გულწრფელი სურვი-

# კრიტიკული შენიშვნები

I

### ივ. ელიაშვილი.
### „სამშობლო ბუნების სარკე“.

პოლიტიკამ შთანთქა ყველაფერი და ხელოვნება განსაცდელში ჩავარდა; ერთის მხრივ იმიტომ, რომ მისთვის ცოტას-ღა სცალია. მეორეს მხრივ იმიტომ, რომ ნივთთან ერთად უნივთობაც ახლა ცდილობს თავის გასაღებას.

ამიტომ ცოტა შორიდან უნდა დავიწყო.

საყმაწვილო წიგნი და სახალხო ჩვენში ძალიან ცოტა არის და ამას უნდა მივაქციოთ უდიდესი ყურადღება.

ახალთაობის განვითარება და ხალხის გათვითცნობიერება შეუძლებელია ისე, თუ უმალ მშობლიურ ენაზედ არ მივაწოდეთ მას გონებრივი საზრდო.

ამ მხრივ არის მუშაობა დაწყებული, მაგრამ ეს არა კმარა,

მართალია, მძიმე პირობებში ვცხოვრობთ, მაგრამ დიდი შემოქმედების გამოჩენაც სწორეთ ახლა გვმართებს. უნდა გადავლახოთ ყოველგვარი დაბრკოლება და რწმენის ცეცხლი შევიტანოთ ყველგან. უნდა ვიწამოთ მომავალი საქართველო და ვიცხოვროთ, ვიმოქმედოთ მისთვის...

ელიაშვილი ცნობილი საყმაწვილო მწერალია. მისი „სამშობლო ბუნების სარკე“ მეორე გამოცემით გამოვიდა. ეს უკვე ღირსებაა წიგნისა: მოზარდ ახალთაობას მოეწონა ამ მოთხრობებში რაღაცა და ღაეწაფა მას.

რა მოეწონა? მხატვრულად წერა, სიყვარულითა და ალერსით გამთბარი თხრობა, ცოცხალი ენა და მიმზიდველი შინაარსი.

რა მიზანი ჰქონდა ავტორს?

ივ ელიაშვილი ბუნებისმეტყველია, ექიმი.

მისი მიზანია, ბუნების კანონები შეაპაროს ბავშვს მოთხრობის სახით და შეასწავლოს ცოცხალ მაგალითებზე.

ბუნებაში ერთი უდიდესი წესია—ბრძოლა არსებობისათვის. ამ ბრძოლას აუცილებელ შედეგათ მოსდევს შემდეგი გარემოება: ყოველი ცოცხალი არსება ცდილობს, შეეგუოს, შეეთვისოს გარეშე არსებულ პირობებს და ამით გადაირჩინოს თავი.

ამას უწოდა დარვინმა ბუნებრივი შერჩევა: ვინც შეეგუება პირობებს, გადარჩება და მრავლდება, ვინც ვერ შეეგუება, იღუპება, ისპობა.

ასეთი შეგუება გარეშე პირობებთან იწვევს თანდათანობით ცვლილებას ცოცხალი არსების აგებულებასა და თვისებაში.

აი, ასეთი დედააზრია გატარებული „სამშობლო ბუნების სარკე“ში.

„ყოველი ქმნილება ეთვისება და ითვისებს ყოველგვარ პირობას, რომელიც მის ირგვლივ ჰსუფევს“, სწერს ავტორი გამოქანდაკებული თავგვის ნაამბობში

რამდენათ მოერია ავტორი ასეთ მეცნიერულ თემას, რამდენათ მოხერხებულათ ააგო ამ დედააზრზე მასალა?

---

ლია, რაც შეიძლება ჩქარა მოშუშდეს, უბედური გარემოებით გამოწვეული იარა და იქორწილოთ მეორედ, რომელიც ალბათ იქნება პირველზე გაცილებით ლამაზი და მტკიცე. დაგაპირისპირეთ რა, ჩემ მისიას ვაცხადებ დასრულებულათ, განზე ვდგები და ამის შემდეგ როგორც გნებოთ. (მიდის მარჯვნივ).

**გიორ.** ედიშერ!

**ედიშ.** მოვრჩი, უკანასკნელი სიტყვა თქვენ გეკუთვნით.

**გიორ.** გთხოვ მომისმინო.

**ედიშ.** ბრძანეთ.

**გიორ.** ძვირფასო მეგობარო! უწინარეს ყოვლისა, მიიღე ჩემგან უგულითადესი მადლობა ამ იშვიათი თავდადებისა და მზრუნველობისათვის.

**ედიშ.** ზედმეტია ეს, ზედმეტია.

**გიორ.** არ ვიცი ღმერთმანი რა გიპასუხო, შენ, რომ იცოდე თუ რა ითქვა ჩვენს შორის ამ სამი თვის წინად და რა ზომ დიდი გამოდგა ჩემი მისდამი შეცოდებანი, დარწმუნებული ვარ მომრიგებლის მოვალეობაზე იმთავითვე ხელს აიღებდი.

**ედიშ.** ეს ამბავი მეც ვიცი.

**გიორ.** მაშინ ისიც გეცოდინება, რომ იქ საცა არ არის სიყვარული, არ არის არც ოჯახი.

**ედიშ.** კარგი. ნუ ჰღელავ, ჯერ მოუსმინე მეორე მხარეს. (შედის მარჯვნივ ოთახში).

**გიორ.** (პაპიროსს გააჩაღებს. ამ დროს მოისმის მარჯვნივ ოთახიდან ედიშერის მიერ შესრულებული ნაზი, მომხიბლავი მუსიკა). ელპიდა! პატიოსნებასთან ერთად, ჰკვაც სამყოფი გაქვს, ამიტომ ვიმედოვნებ, რომ მოუფიქრებელი ნაბიჯით არ შექმნი სახიფათო მდგომარეობას და თავს არ დამატეხ მეორე უბედურებას. თუ მართლა ბრუნდები, მოვითხოვ, რომ დაბრუნდე იმ თილისმით, ურომლისოდაც ცოლ-ქმართ კავშირი შეუძლებელია. თუ ეს ასე არ არის და ამ შემთხვევაში გამოქმედებს მხოლოდ სიბრალული ან გრძნობა მოვალეობისა, იცოდე წაგეკიდები, რადგან ამას მივიჩნევ უდიდეს შეურაცყოფად. ნუ აჩქარდები, გირჩევ ერთხელ კიდევ ჩასწვდე სულის სიღრმეს, იქნებ არც ეხლა დაგირჩეს იქ ჩემთვის ალაგი.

**ელპ.** გიორგი. ეს სამი თვე, იქ ძვირფას მეგობართა წრეში, ჩვენს მომავალზე ფიქრში გავატარე, მაგრამ რამდენიც არ ვეცადე ის ნატვრის თვალი მაინც ვერ მოგიტანე, მიუხედავად იმისა, რომ შენდამი ულრმესი პატივისცემით ეხლაც ვარ გამსჭვალული. ჩემი დაბრუნების საბაბი შენ უარჰყავ, რის გამო იძულებული

ავტორს მოხერხებულათ აქვს მასალა არჩეული და ძალდატანება არ ეტყობა: მთავარი აზრი, ესა თუ ის კანონი ბუნებისა ნათლად, თავისთავად ისახება მოთხრობის მიმდინარეობიდან.

რატომ აქვს ხვლიკს სილის ფერი კანი, კურდღელს ჭრელი ქურქი, ჭინჭრაქას ფიჩხის ფერი, ყოველივე ეს ახსნილი აქვს ავტორს მარტივათ, უბრალოთა და მეცნიერულად.

არსებობისათვის ბრძოლა იწვევს ამა თუ იმ ფერს, ან გარეგნობას; იგივე იწვევს ამა თუ იმ თვისებას.

ყვავები ერთად დაფრინავენ.

რატომ?

იმიტომ რომ ეს ფადვილებს მათ ბრძოლას არსებობისათვის.

რატომ მოუწყვია ბუნებას ბუს თვალი ისე, რომ ღამეც კარგათა ჰხედავს?

იმიტომ რომ მშიშარაა, სუსტია და დღე ვერ გამოდის საზრდოს მოსაპოებლათ. მას მხოლოდ ღამით შეუძლია საზრდოს ძებნა, როცა მტრისა აღარ ეშინია. ამიტომ ბუს თვალი განვითარდა იმდენათ, რომ ღამეც უჭვრის. უამისოთ ბუს მოდგმა სიმშილით უნდა ამოწყვეტილიყო.

რატომ გალობს მამალი ბულბული?

ეს საჭიროა გამრავლებისათვის.

ყოველივე ეს ავტორს მარტივად და კარგად აქვს დასურათებული თავის მოთხრობებში.

ყოველი არსება თავის თვისებას შთამომავლობას გადასცემს და ეს გასაოცარი კანონი შემდეგ თაობას უადვილებს ბრძოლას არსებობ სათვის.

ამისთვისაც მიუქცევია ავტორს ყურადღება და აუხსნია ერთ მოთხრობაში.

მშრალი ახსნა ბუნების კანონებისა ვერ მიიზიდავს და ვერაფერს მისცემს ბავშვს; ხოლო როდესაც მოთხრობაშია ჩართული, ბავშვი ხალისით შედის ბუნების საიდუმლოებათა სალაროში და თანდათან ერკვევა.

ამ მხრივ ელიაშვილის მოთხრობები ერთადერთია ჩვენს ორიგინალურ მწერლობაში.

ახლა აღვნიშნოთ ნაკლი.

წიგნში ნაკლებათაა სურათი.

უამისოდ საბავშვო წიგნი და ისიც ისეთი, სადაც მომქმედ პირებათ ცხოველებია, თავის მიზანს ვერ აღწევს.

მაჩვზე მთელი მოთხრობაა, მაჩვის სურათი კი არსად არის.

ზოგი სურათი აღწერას არ ეგუება.

კურდღელი მოგვითხრობს: ჩვენს თივდორეს წვერი მოეპარსაო, და სურათში კი თივდორეს წვერებს სამართებელი კი არა, მაკრატელიც არ მიჰკარებია!

შეუჩვეველ ჭირს შეჩვეული ვერჩიოთო, არსად გამიგონია. ორსავე შემთხვევაში თუ ჭირი იქნება რა თქმა უნდა, ისევ შეჩვეული სჯობია,—აქ დიდი აზრი არ არის. სულ სხვაა—შეუჩვეველ ლხინს შეჩვეული ჭირი ვერჩიოსო,—

აქ აზრია.

უცხო ენაზედაც არის ამგვარი შინაარსის მოთხრობები, სადაც თვითონ ცხოველები და ფრინველები მოგვითხრობენ თავის ყოფა-ცხოვრებას.

---

ვხდები საბედისწერო კვანძი ერთის დაკვრით გადიჭრას თუ არ ის (მარჯვნივ ოთახისკენ მიუთითებს ედიშერზე) ვისაც ჩვენი შერიგება იდეურქსად გარდაქცევია, ეს გაცილებით ადრე მოხდებოდა. (შედის მარცხნივ ოთახში. პალტო გადაცმული და შლიაპით მალე გამოდის).

**გიორ.** (გაოცებული) როგორ უკვე მიდიხარ?

**ელპ.** დიახ მივდივარ. ჩვენს მდგომარეობაში მყოფთათვის ეს ერთად ერთი გამოსავალია.

**გიორ.** შეიძლება, შეიძლება, მაგრამ არც ასე დემონსტრატიულად. (უეცრივ) გთხოვ დარჩე თუნდ ხვალამდი, ყველაფერს, რომ თავი გავანებოთ, დედაშენს რა პასუხი გავსცე!

**ელპ.** მიუხედავად დიდი ხათრისა, ამ თხოვნას მაინც ვერ აგისრულებ, ჩემ გადაწყვეტილებას ვერავითარი ძალა გარეშე—სიკვდილისა, ვერ შემაცვლევინებს.

**გიორ.** (მივა მარჯვნივ კარებთან) ედიშერ, გამოდი, ელპიდა მიდის.

**ედიშ.** (გამოდის საჩქაროდ) რას ამბობ როგორ თუ მიდის! (ელპიდას) ნათლია ჩემო რა ამბავია?

**ელპ.** წარსულს ხაზი გაუსვით და ვით შეჰფერის თავისუფალ ადამიანს, მივდივარ საკუთარი გზით.

**ედიშ.** მაშ ეს იყო ჩემი იმედები? ახ მეგობარნო, რა ძლიერ მსურდა ამ ოდესღაც სამაგალითო ოჯახის კვლავ აღდგენა, გაჯანსაღება, რა ძლიერ მსურდა.

**ელპ.** მჯერა, მჯერა, თქვენ ჩემთვის მეტად ძვირფასი პიროვნება ხართ.

**ედიშ.** (ხელზე ემბორება, ის კი შუბლზე აკოცებს).

**ელპ.** (გიორგის) მშვიდობით!

**გიორ.** მშვიდობით, ელპიდა, ბედნიერი გნახე!

**ელპ.** (როცა შუა კარებისკენ პირს მოიბრუნებს იმ დროს მეზობლიანთ მელანო პატარა ვახტანგით ხელში, შუა კარებში დაეყუდება და გიორგის: ჩაიბარეთ თქვენი შვილი, დასვამს ძირს და სწრაფად გადის).

**ედიშ.** (ხელში აიყვანს).

**ელპ.** (ვახტანგის გამოჩენისას, ერთს წამოიკვნესებს და ბარბაცით უკან დაიხევს).

**ედიშ.** (მივარდება ვახტანგით ხელში) ნათლია ჩემო, რა მოგდით, თქვენ სულ გაფითრდით!

**ელპ.** ღმერთო ჩემო, ეს რა მომდის, სად გაქრა ჩემი სიმტკიცე, მივდიოდი...

**ედიშ.** (სიტყვას გააწყვეტინებს) მაგრამ უეცრივ შემოიჭრა ეს პატარა მსაჯული და აღმართა

მაგრამ როდესაც ცარიელი ყოფა ცხოვრება კი არ არის, არამედ შიგ მეცნიერული დედააზრია ჩართული, უმჯობესია, უფროსი ადამიანი მოუთხრობდეს ბავშვებს, ვიდრე ფრინველი ან ცხოველი.

აი რატომ არის უმჯობესი.

ასეთ მოთხრობებში გვერდს ვერ აუხვევთ მეცნიერული აზრის გამოთქმას ამა თუ იმ სახით.

როდესაც ფრინველი ან ცხოველი ლაპარაკობს, ეს—თუ გნებავთ—ერთგვარათ ბუნებრივია. პირუტყვებში იმდენია გონიერი—აიღეთ თუნდა ძაღლი, ცხენი—რომ დიდი უსამართლობაა მათი სიმუნჯე.

ზოგიერთი ფრინველი ეჩვევა სიტყვების გამოთქმას.

ჩვენს ბუნებას, სამართლიანობის გრძნობას უნდა, რომ ლაპარაკი ცხოველებმაც იცოდენ.

მაგრამ მეცნიერულ ცოდნას რომ ცხოველები იჩენდენ, ამას ვერავითარი ფანტაზია ვერ შისწვდება.

მეცნიერულ ცოდნას ადამიანიც დიდი ხნის სწავლითა და შრომით იძენს.

ამიტომ პირადათ მე საშინლად მეხამუშება, როდესაც თაგვი ან ბელურა მეცნიერებაზე მემუსაიფება და ჩემზე მეტ ცოდნასაც იჩენს.

ბულბული მთელ ლექციას კითხულობს ესთეტიკის შესახებ.

თაგვმა საუცხოვოდ იცის კაცობრიობის განვითარების ისტორია და მოგვითხრობს, როგორ ცხოვრობდა ისტორიის წინა დროის ადამიანი; რიგიანი წარმოდგენა აქვს გეოლოგიაზე.

ღამურამ იცის და მოგვითხრობს, თუ როგორ ჩნდება წვიმა, საუცხოვო წარმოდგენა აქვს ჰიგიენაზე.

ყოველივე ეს იმდენათ საარაკო და არა-ბუნებრივია, იმდენად დაშორებულია ყოველგვარ შესაძლებლობასა და ფანტაზიას, რომ ჩემთვის მიუღებელია.

აიღეთ მაგალითათ: ბელურას ყური მოუკრავს სახლის პატრონის ლაპარაკისათვის და მოუთხრობს ბავშვებს პარიზზე, ავტომობილებზე, რივოლის ქუჩასა და ტიულიერის ბაღზე!

უფრო მისაღები არ იქნება და დასაჯერებელი, რომ თვითონ ეს სახლის პატრონი უამბობდეს ბავშვებს ბელურაზედაც და პარიზის ცხოვრებაზეც.

საბავშვო მწერლობიდან, რამდენათაც შეიძლება, უნდა გამოიდევნოს ყოველივე უსაზღვროთ ფანტასტიური.

დიდ სამსახურს გაუწევდა ავტორი მოზარდ თაობას, რომ ამ შრომას ენერგიულათ განაგრძობდეს და მალე მეორე და მესამე ტომსაც მოგვაწვდიდეს.

მასალა დიდია, ცოდნა და ნიჭი ხელს უწყობს; სიყვარული მოზარდი თაობისა და ეროვნული საქმისადმი არ აკლია.

ამიტომ ველი ახალ ტომებს იმ შესწორებით, რაზედაც მე მივუთითე, თუ კი ასეთი შესწორება მისთვის საფუძვლიანი და მისაღები იქნება.

**ივ გომართელი.**

---

თქვენს წინაშე გაუვალი კედელი, განა! (ბავშს დააყენებს მაგიდაზე და ცალ ხელს წელზე მოხვევს).

**ელპ.** სრული ჭეშმარიტებაა. (უეცრივ ჩაიხუტებს შვილს) ჩემი ვახტანგი! (ნელა სტირის).

**გიორ.** (პირს მიიბრუნებს სანახევროდ და ფანჯრის რაფაზე ხელებით მიყრდნობილი დგას ოდნავ თავ-დახრილი).

**ელპ.** (ორი წამის შემდეგ მიმართავს ვახტანგს, რომელიც ისევ მაგიდაზე დგას დედის დახმარებით). ბიჭიკო, მბრძანებელო და მპყრობელო ჩემი ბედისა და უბედობის, მაპატიე შეცოდებანი ჩემნი. თუ მამაშენი თვის სასტიკ ულტიმატუმს უკან წაიღებს და ყოველსავე ერთბაშად არ მომთხოვს, მე მზადა ვარ დავუბრუნდე ოჯახს და ცხოვრების მიზნად კვლავ თქვენ დაგისახოთ. (წელში გასწორდება და ქმარს) გიორგი! ქარაფშუტაც რომ მიწოდო მაინც უნდა დავრჩე.

**გიორ.** დე, იყოს ასე, მაგრამ შედეგი, რა მოგეელის, როგორი იქნება ჩვენი ცხოვრება?

**ელპ.** იგი იქნება ისეთი, როგორიც იყო. მაღალ ადამიანურ მიზნებით შეკავშირებული და მოვალეობით დატვირთული.

**ედიშ.** ვაშა! ოჯახის ფუძეც ეგ არის სწორედ. (გიორგის) ის სიყვარული კი, რომელსაც შენ გულისხმობ არის მხოლოდ რომანტიკა.

**გიორ.** (ელპიდას) სხვაგვარ ვფიქრობდი, ვინ იცის იქნებ ედიშერი მართალიც იყოს. კარგი, რაკი საქმე ასე დატრიალდა, ვურიგდები ბედს და შენს ხვედრს მეც თანაბრად გავიზიარებ. (გაიწევენ ურთერთისაკენ და შერიგებას მხურვალე კოცნით აღნიშნავენ).

**ედიშ.** ვაშა, ვაშა, დიდებულია, დიდებული.

**მერ.** (სწორედ იმ დროს მოადგება შუა კარებს და აღტაცებული). ღმერთო, რა ბედნიერებაა!

**გიორ.** (მერის) საყვარელნო, აგისრულდათ გულის წადილი, ჩვენ შევრიგდით.

**მერი.** (ედიშერს). ძია ედიშერ, იკურთხოს თქვენი სახელი!

**ედიშ.** არა, მე დავმარცხდი ამ საქმეში, ოჯახი იხსნა დიდმა ბატონმა, პაწია მემკვიდრემ.

**მერი.** (გარბის და ეძახის სალომეს). ბებო, ბებო, —რა გახარო, რა გახარო.

**სალომეს ხმა.** (იმავე დროს) რა ამბავია, რა ამბავია?

(**ფარდა**)

## წამარძეგული ექსპრესიონისტულად

პიესა 6 მოქ. და 12 სურ.

**მოქმ. 1, სურათი 2.**

(გაგრძელება *)

დადგმისათვის—ვინც პირველი მოქმედების პირველ სურათშია ნახსენები—ყველა ისინი საჭიროანი არიან, ხოლო ამჟამად უნდა მიემატოს ავტომობილისტები, მოტოციკლეტისტები, ველოსიპედისტები და მრავალი „ისტები“.

**მოხტუნავენი:**

**ცოლ-ქმრის ვაჟი**

**ვაჟის ჩოჩორი**

**უბენზინო შოფერი**

**უბენზინო შოფერის დულცინეია**

**ადამის სახე**—ლელვის ფოთლებში გახვეული

**საბაოთ ღმერთი**—ღრუბლების ტახტზე მჯდომარე.

**სცენა:** ჩოღრო-ოღრო, თხრილ-პროსპექტიანი, განზე ეტლები—დროგებითურთ, ზევით წითელი.

**გატიტვლებული ავტომობილები.**

**ცოლ-ქმრის ვაჟი** (ვაჟის ჩოჩორზე მჯდომი—სიმღერით)

„საიქიოს ერთად წავალთ ვაი, ეეე,
ჩოჩრიანი და უჩოჩრო ეეეი!“

**ვაჟის ჩოჩორი** (მხიარული ყროყინით) ჭეშმარიტია. მეც და ავტომობილიც.

**უბენზინო შოფერი.** რას მიჰქარავ! дудки! მე ავტომობილზე შევსრიალდები.

**ვაჟის ჩოჩორი.** მე კი ჩემის ჩლიქებით შემოვალ და შენც იქ დამხვდები.

**უბენზინო შოფერი.** ვერ მოგართვი—ჩოჩრებს და ვირებს სამოთხეში არ უშვებენ.

**დულცინეია.** (გამოჩნდება ისევე მოულოდნელად, როგორც პირველ სურათში ევა, ხოლო ნახევრად ტიტველი—ე. ი. უჩანს ძუძუები, მკლავები, ჭიპი და ბარკლები). „ვუზავე რეზონ!“ სამოთხეში მხოლოდ ავტომობილისტებს უშვებენ.

**ცოლ-ქმრის ვაჟი.** ლამაზო, ვინა ხარ?

**დულცინეია.** პსევდონიმით—დულცინეია, ნამდვილად კი ევა.

**უბენზინო შოფერი.** სტყუის!

**დულცინეია** ადამს ჰკითხეთ.

**ადამის სახე**—(ლელვის ფოთლებიდან თავს გამოჰყოფს) მართალია, დაუსრულებელი არაფერია ქვეყანაზე.

**საბაოთ ღმერთი** იგ ყველაზე წინ მე ვიცოდი.

**ცოლ-ქმრის ვაჟი.** Врешь, რომ გცოდნოდა, წინათვე იტყოდი.

**საბაოთ ღმერთი.** მეგონა ვერ მიხვდებოდით; და როს მიხვდით, ჩემი ღმერთობაც შექანჯალდა.

**უბენზინო შოფერი.** ჩამომეცალე, შენს ღრუბლების ტახტზე მინდა ამოვ ხტუნო ავტომობილი.

**დულცინეია.** მეც მინდა ხტუნვა.

**ცოლ ქმრის ვაჟი.** მეც

**ვაჟის ჩოჩორი.** მეც.

**ადამის სახე.** ჯიმალეფი, მეც! (შეიქნება ხტუნვა ჩოჩორი ტლინკებს ყრის, ავტომობილი ღრიალებს, უბენზინო შოფერი უსტვენს, დულცინეია ბუქნაობს, ცოლ-ქმრის ვაჟი ხრინწიანობს, ადამი ლელვის ფოთლებს იგლეჯს,—საერთოდ კი გამოდის სიმფონიური კაკაფონია. სიტყვები სიმღერისთვის უეჭველად ეს: Ах ты барышна, ты куриноса, ти навирна куришь папируса“.

**საბაოთ ღმერთი** „ვიტა ბრევის—არს ლონგა“ *) მეც ჩავერევი, თორემ ველარ დავეწევი. (შემოსძახებს ბაიათს: „თავო ჩემო ბედი არ გიწერიას“ ხმაზე და კალთებ აკეცილი „შამილს“ ცეკვავს).

**ყველანი.** ვაშა საბაოთ, ბრავო საბაოთ!

ფარდა

**(არ ჩამოდის)**

**ვანო ბარველი.**

*) იხ. „თ. და ც.“ № 2.

*) ლათინური თქმულება: „უკვდავია მხოლოდ ხელოვნება—ცხოვრება კი წარმავალია“.

# ხელოვნება ჩვენში

III *)

სად არის ის თილისმა, რომლის წყალობითაც ხელოვანი შეიგრძნებს საგანს, რომ სრულის სახიერებით და თავისი შინაგანი განცდით გადმოგვცეს იგი?

ეს თილისმა გახლავთ ადამიანის თვალის ჩინი, რომელსაც ისეთი მდიდარი და ფართე გასაქანი აქვს, იმდენი შემგრძნებლობითი უნარი მოსდევს, რომ სახიერებითი ხელოვნებაში უპირველესი ასპარეზი ეძლევა და უაღრესი გავლენა აქვს.

საგნის ნიშანდობლივი, დამახასიათებელი თვისებისა თუ მოხაზულობის შეუმცდარი შეგრძნება ყველა ადამიანს როდი შეუძლიან თანაბრად.

შეიძლება უმზერდე და ვერ კი ჰხედავდე, თვალის სინათლეც რომ არ გაკლდეს.

სწორედ აქ არის სათავე იმ ფსიქოლოგიურ მოვლენისა, რომ ერთი და იგივე სურათი, ერთი და იგივე ხელოვნური ნაწარმოები სხვადასხვა აზრს და შთაბეჭდილებას იწვევს მაცქერალთა შორის.

ადამიანის თვალის ჩინის მეოხებით ჩვენს შინაგან ფიზიოლოგიურ ფსიქოლოგიურ ფირფიტაზე ასახვა ამა თუ იმ მოვლენისა თუ საგნისა იმავე წესით სწარმოებს, რა წესითაც ფოტოგრაფიული აპარატის ობიექტივი ითვისებს და შინაგან ფირფიტაზე აღბეჭდავს ამა თუ იმ სახეობას. რამდენა-

*) იხ. „თეატრი და ცხოვრება“ 1923 წ. № 1 და 3.

დაც ეს ობიექტივი სუფთა, გაუკაწრავი დი ნათელია, მით უფრო უნაკლულოდ გადასცემს შეთვისებულ სახეობას შინაგან ფირფიტაზე, ანუ ნეგატივზე.

ადამიანის თვალის ბაიაც იგივე ობიექტივია, იმ დიდი უპირატესობით, რომელიც ახასიათებს ძლევამოსილ და ცხოველმყოფელ ობიექტივს. თუმცა, მეორეს მხრივ, თუ ეს გონების ობიექტივი ბუნდია, გაკაწრული, ხშირად წააბორძიკებს ხელოვანს და შეიძლება კლდეზედაც გადაჩეხოს.

მაშასადამე ხელოვანის თვალის ჩინი უტყუარი და სწორე გადამღები უნდა იყოს საგნისა მხატვრის ობიექტივში, ე. ი. იმ თვალის ბაიაში, რომელიც, ფოტოგრაფიულ აპარატის ობიექტივის მსგავსად, ხან ფართოვდება და ხან შავ წერტილად იკუმშება საგნის აღსაბეჭდად.

რამდენადაც უფრო ძლიერია ადამიანის თვალის ჩინი, რამდენადაც უფრო ცხოველმყოფელია მისი უნარი, ნახული საგნისა თუ მოვლენის უაღრესის ძლოვანობით შინაგან ფირფიტაზე გადაცემისი, მით უფრო ცხადი ხდება ჩვენთვის, რომ ასეთს ადამიანს ბუნებითად, თანდაყოლილი აქვს უდიდეაი შესაძლებლობა, მას მისდევს უაღრესი ძადლი, ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, მით უფრო ნიჭიერია ასეთი ადამიანი.

ნიჭი თანდაყოლილი ღირსებაა ადამიანისა და ჩვენს ხელთ არ არის მისი შექმნა, შეთვისება; ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ გამოვიყენოთ იგი, როგორც აუცილებელი თვისება ყოველგვარ ხელოვნების ქვაკუთხედისა.

ასეთი ნიჭიერებით აღჭურვილი ადამიანის თვალის ჩინი მით უფრო ფასდაუდებელია, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მხოლოდ მაშინ არის დაუფასებელი, რაც უფრო ძლიერი და წარუხოცველი მეხსიერება ახლავს.

მე მოგახსენებთ იმ შინაგან ფსიქოლოგიურ ფირფიტაზე, რომელზედაც აღიბეჭდება ხოლმე თვალისჩინის მიღებული განცდა.

რაც უნდა გამჭვირვალე და ბროლად თლილი იყოს ობიექტივი, ვერც ერთს საგანს ვერ აისახავს, თუ აპარატის შიგნით ამსახველი ფირფიტა არ ექნება, რადგანაც ობიექტივი მხოლოდ საშუალებაა ასახვისა და არა თვით ამსახველი.

ასევეა ადამიანის თვალის ჩინიც. შინაგან ფირფიტაზე სრულყოფით გადაცემული თვალით ნახული ისეთის ძლიერებით უნდა აღიბეჭდოს, რომ ადამიანს კუბოს კარამდე წარუხოცელად თვალწინ ედგეს.

ეს გახლავთ მხედველობის მეხსიერება.

მაშასადამე საგნისა თუ მოვლენის გარეგან სახეობას გვაძლევს თვალის ჩინის ნიჭიერება და მხედველობის მეხსიერება.

პირველის გაძლიერება ჩვენ ხელთ არ არის, მეორის განვითარება კი შესაძლებელია განუწყვეტელი, ხანგრძლივი, მუყაითი ვარჯიშით.

როდესაც ხელოვანს ეს ორი უმთავრესი თვისება ახლავს, მას სჭირდება ტეხნიკა, ესე იგი გადმოცემის უნარი.

ეს საქმე იძლევა ამა თუ იმ ხელოვნურ ნაწარმოებს.

მე ვიცნობ ერთს პატივცემულ კალმოსანს, რომელიც ხშირად დაიარება მარტო, ფეხაკრეფით, გარინდებულივით და თითქოს ვერც კი ვისმეს ამჩნევს ათას მოსიარულე ხალხში, მაგრამ ის მარტო არასოდეს არ არის; მას მუდამ თან ახლავან ის გმირები, რომლებიც მისგან თავის დასურათებას მოელიან. ისინი მხარდამხარ მისდევენ მას, ესაუბრებიან, ხან ფეხებშიაც ეჩხირებიან და ასე გრძელდება იმ დრომდე, ვიდრე ამ გმირებს ქაღალდზე არ გადაიტანს ცოცხალი სიტყვით. მაშინ კი ეს აჩრდილები უჩინარნი ხდებიან, სტოვებენ კალმოსანს და მოსვენების ძილს უსურვებენ.

აქ გახლავთ ძლიერი განცდა, მკვეთრი დანახვა და წარუხოცელი მახსოვრობა.

მაგრამ იბადება კითხვა:

რას განიცდის, რასა ჰხედავს და რას იხსომებს ხელოვანი?

ამაზე შემდეგ. **ნარკანი.**

# საზოგადოებრივი ცხოვრება

## საქართველოს სოფლის მშრომელებს (გლეხობას).

ამხანაგებო, სოფლის მშრომელნო და თქვენს სოფელში მცხოვრებნო პატიოსანო მოქალაქენო!

თქვენ უკვე იცით, საქართველოს მუშურ-გლეხური მთავრობა აგერ ოთხი-ხუთი თვეა რაც სოფლებში გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების მოწყობას შეუდგა.

გლეხთა კომიტეტები ჩვენში, მართალია, ახალი საქმეა, მაგრამ მას, ე. ი. გლეხთა კომიტეტებს საქართველოში დიდი მომავალი ექნება, თუ თქვენ მათ ირგვლივ მჭიდროთ დაირაზმებით და შავი დღისათვის ურთიერთი დახმარების საქმეში ერთსულოვნებას გამოიჩენთ.

ამხანაგებო! თქვენ კარგათ იცით ძალა ერთობაშია!.. ის, რაც არ შეუძლია, არ ძალუძს გააკეთოს ერთმა კაცმა, ერთმა პირმა, ის შეუძლია შეასრულოს და ბოლომდე დააგვირგვინოს შეკავშირებულ-შეერთებულმა ძალამ,—ეს აშკარაა და ცხადია ყველასათვის.

გლეხებო! სოფლის მშრომელნო, პატიოსანო მოქალაქენო! ჩაუკვირდით ქალაქის მუშა მოსამსახურეების ყოფა ცხოვრებას, ის შეადარეთ თქვენს ყოფა-ცხოვრებას და თქვენ აშკარათ დაინახავთ მათი და თქვენი ცხოვრების შორის დიდ განსხვავებას. რატომ? იმიტომ, რომ ქალაქის მუშა-მოსამსახურეები უკვე დიდიხანია გაერთიანებული არიან კავშირებში და, როგორც შეკავშირებულნი, მათ ძალზე ეადვილებათ თავიანთი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება.

ამხანაგებო, სოფლის მშრომელნო! თქვენ იცით, მეფის მთავრობის დროს ყოველგვარი გა-

ერთიანება და შეკავშირება მშრომელების სასტიკათ იდევნებოდა, თქვენ აგრეთვე ჩვენზე კარგათ მოგეხსენებათ, თუ წინად რამდენათ უნუგეშო და უმწეო იყო ჩვენში მშრომელი ხალხისა და, განსაკუთრებით, გლეხობის მდგომარეობა.—

ამხანაგო მშრომელებო, ვიმეორებ მუშა-მოსამსახურეებს ქალაქებში ბევრი, ძალზე ბევრი საკუთარი ისეთი ორგანიზაციები აქვთ, რომლის საშუალებით ისინი იოლად უმკლავდებიან გაჭირვებას და თავიანთ ნივთიერ და უფლებრივ მდგომარეობას საგრძნობლათ აუმჯობესებენ,—წინააღმდეგ თქვენ საქართველოს, სოფლის მშრომელებო, მოკლებული ხართ სოფლებში ისეთ ორგანიზაციებს, რომელსაც ქალაქში დაუფლებია მუშა თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ; ამას ჩვენ ყურადღება მივაქციეთ, ამას ჩვენ ანგარიში გაუწიეთ და ინიციატივა ავიღეთ თქვენი დახმარებით და თქვენი აქტიური მონაწილეობით მოვაწყოთ სოფლებში თქვენივე მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტები; ამ კომიტეტების დანიშნულებაა სოფელში მცხოვრები თქვენი მეზობლის ობოლს, ქვრივს, ომის და შრომის ინვალიდებს დახმარება აღმოუჩინოს; ამ კომიტეტის მიზანია ყოველგვარ უბედურების დროს (მოუსავლობის, დასეტყვის, წყალდიდობის, ცეცხლის გაჩენის, საქონლის ჭირის და სხ. უბედურ შემთხვევაში) დახმარება აღმოუჩინოს ყველა მშრომელს თავისი განადგურებული მეურნეობის აღდგენაში.

ნათქვამია ზღვა პაწაწკინტელა წვეთებისაგან შესდგაო. მართალია. ყველა გადასახადი ან შეწირულება, რაც მცირე არ უნდა იყოს, შეტანილი თქვენ მიერ გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების ფონდში, სოფლის მშრომელებო, ბოლოს დიდ ქონებათ გადაიქცევა და საჭიროების დროს თვალებიდან გაჭირვების ცრემლებს მოსწმედს თქვენი სოფლის ობლებს, ქვრივებს, ინვალიდებს და ყველა იმათ, რომელნიც უკულმართმა და მოუწყობელმა ცხოვრებამ განსაცდელში ჩააგდო.

ამხანაგებო! სოფლებში ბევრია წითელ ლაშქრის ოჯახის წევრები, იმ წითელი ლაშქრის, რომელიც მუშურ-გლეხური რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე სდგას და იარაღით ხელში მტრებისაგან იცავს ჩვენ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკას და თქვენ მშვიდობიან შრომას იმ მინდორველზე, რომელიც მუშურ-გლეხური რევოლიუციის წყალობით სავსებით თქვენ ხელში გადმოვიდა.

სოფლის მშრომელებო! გვჯერა, თქვენ არ გინდათ, რომ თქვენ მოძმე მოკეთე წითელ არმიელის ოჯახის წევრებს შიოდეს, წყუროდეს და ტიტველი იყოს. მაშასადამე, საქართველოს მშრომელო გლეხებო, მოგიწოდებთ მჭიდროთ, რკალივით შემოერტყათ გვერდში გლეხთა კომიტეტებს და გადასახადების და შემოწირულების გაღებით გააძლიეროთ ისინი. მშრომელებო, იცოდეთ რასაც თქვენ შეიტანთ სოფლებში საგლეხო კომიტეტების ფონდებში ისინი დარჩება ადგილობრივად სოფლებში საგლეხო კომიტეტების განკარგულებაში და მოხმარდება სოფლის საჭიროებას სასოფლო კრილობის გამოტანილ განაჩენით.

ამხანაგებო! გვჯერა ჩვენ მოწოდებაზე ზოგიერთი თქვენთაგანი ჩაიცინებს და იტყვის,—ჩვენ ღარიბები ვართ, დახმარებას აქეთ ვსაჭიროებთ და რათ უნდა შევიტანოთ ჩვენ ღარიბებმა და გაჭირვებულებმა საგლეხო კომიტეტის ფონდშიო. გიპასუხებთ: სწორედ ღარიბები და გაჭირვებულები იმისათვის იყავით და ხართ, რომ დღემდე თქვენ ისე, როგორც ქალაქის მუშებს, ერთობა არ გქონდათ. ამიერიდან ეს არ უნდა იქნეს.

საქართველოს მშრომელებო, შეერთდით, შეკავშირდით და იცოდეთ სიღარიბე-სისაწყლე დაიძლევა.

დაიმახსოვრეთ უშველებელი ზღვები წვეთებისგან გროვდება; ნუ დაიზარებთ, ნუ დაიშურებთ, ნუ დაირცხვენთ, ყველამ შეძლებისადაგვარათ გაიღეთ თავის წვლილი (სამარცხვინო არ იქნება მცირე რამე გაიღოთ) გლეხთა კომიტეტების საშუალების გასაძლიერებლად. იცოდეთ, თქვენ მიერ საგლეხო კომიტეტში შეტანილი ყოველი კაპეიკი, მარცვალი საიმედოთ შეინახება და მოხმარდება ისევ თქვენს საჭიროებას.

ამხანაგებო, სოფლის მშრომელნო! თქვენ იქონიეთ თქვენივე თავის იმედი, თქვენს თვითონვე იფიქრეთ და იზრუნეთ თქვენს თავზე, თქვენ ცხოვრებაზე. მუშურ-გლეხური ხელისუფლება თქვენ გასწავლით, როგორ უნდა ცხოვრების მოწყობა. ისწავლეთ, ისწავლეთ და ბედნიერი იქნებით. ისწავლეთ და შეეჩვიეთ შეერთებულ და შეკავშირებულ ბრძოლას შავი დღის წინააღმდეგ. ხსნა ამაშია. ფხიზლათ იყავით, თვალყური ადევნეთ თქვენ მიერ არჩეულ გლეხთა კომიტეტებს, რომ რიგიანათ იმუშაონ. გლეხთა კომიტეტები იმუშავებენ მთავრობის ხელმძღვანელობით, მაგრამ თქვენაც ვალდებულნი ხართ, ამხანაგებო გლეხებო, თქვენი კომიტეტის მოქმედებას თვალყური ადევნოთ

სოფლის მასწავლებელნო! თქვენც მოგიწოდებთ, დაეხმაროთ სოფლის მშრომელებს, გლეხებს საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების მოწყობის და განმტკიცების საქმეში.

გაუმარჯოს გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტებს! გაუმარჯოს იმ პირებს, რომლებიც საქართველოში გლეხების კომიტეტების დაარსებას, გამაგრებას და გაძლიერებას ხელს შეუწყობენ! გაუმარჯოს გლეხებს! გაუმარჯოს მუშების ძმურ კავშირს!—

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო

კომისარი კ. ხოშტარია.

# დაბა-სოფელი

## სიმართლე ერკეთ-ეწერის სახალხო სახლის შესახებ.

ერთ წელიწადზე მეტია, რაც ერკეთ-ეწერის სახალხო სახლის გარშემო ბრძოლაა გაჩაღებული.

ჩვენ შევეცდებით მიუდგომლად განვიხილოთ ეს სადაო კითხვა.

ერკეთის თემი წინად ერთი უდიდესთაგანი იყო მთელ გურიაში. მასში შედიოდა სოფლები: ერკეთი, ქვემო-ერკეთი, ონჭიქედი, იანეული, ციხე, საყვავის-ტყე, შუბანი (ნამდვილად შვაუბანი), ბჟოლიეთი, ხევი, ნაბეღლავი, ბუქსიეთი, ქვაბლა, ზოტი და ჩხაკოურა. გაჭიმული იყო 40—50 ვერ.

ეს ვებერთელა თემი ტოპოგრაფიულად არ წარმოადგენდა ერთ მთლიან ერთეულს. უდიდესი ნაწილი მთა-გორიანი, მცირე—შედარებით სწორი მდებარეობის. ნამდვილი სწორი ადგილი კი მთელ ამ თემში მხოლოდ ქვემო-ერკეთშია, რომელსაც ეწერი ეწოდება. ამის გამო ეს ადგილი (ეწერი) იყო და არის მიჩნეული დღესასწაულებზე საერთო შეკრება გართობის ადგილად როგორც ერკეთისათვის, ისე მეზობელი თემებისათვის; ამას ხელს უწყობს აგრეთვე მისი მდებარეობა ორი თემის გზა-ჯვარედინზე.

ერკეთის „ცენტრი“, სადაც არსებობს თემის ყოველგვარი დაწესებულება, არც წინეთ იყო და არც ეხლაა ნამდვილი ცენტრი რადგან ამ „ცენტრიდან“ ის ერთის მხრივ მიიმართება 40 ვერ. მანძილზე, მეორე მხრივ კი ჯვარცმის თემი აკრავს ნახევარ ვერსზე. ამიტომაც, თემების გადაჯგუფების დროს, მას ერთის მხრივ ჩამოშორდა სოფლები.

ამ დროს სწარმოებდა ეწრის სახალხო სახლის გარშემო ენერგიული მუშაობა. ეწერი სოფლების, ქვემო-ერკეთის, ჯვარცმის, გუთურის და იანეულის ცენტრია, მათი კულტურული შუაგული. ერკეთელებმა არსებული თემის მოშლის შიშით იერიში მიიტანეს ჩვენს სახალხო სახლის კომისიაზე.

ამ კომისიას 5—6 წ. ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში არავინ გამოგვდავებია, დახმარებასაც კი გვპირდებოდნენ, მაგრამ დაიწყო თუ არა თემების გადაჯგუფება, ამაში ერკეთის მოშლის საფრთხე დაინახეს და მის ერთ მიზეზთაგანად ეწერის სახალხო სახლის კომისიის არსებობა. ამის გამო მათ საჩქაროდ შექმნეს სახ. სახლის კომისია, მიითვისეს ზოგი ჩვენთვის გადადებული თანხა და შეუდგენ მუშაობას.

ეწერის კომისია ერკეთისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა; ის ემსახურებოდა ერთ მიზანს—სახალხო სახლის დაარსებას.

შეგვეკითხებიან, რა საჭიროა ასე ახლო მანძილზე ორი სახალხო სახლის აგებაო. ამაზე უპასუხებთ: თუმცა ერკეთსა და ეწერს შუა მანძილი 1 ვერს-ნახევარია თუ 2 ვერსი, მაგრამ ერკეთის სახ. სახლით ეწერს მაინც არ შეუძლია ისარგებლოს: ერთი იმიტომ, რომ ერკეთი თავის მდებარეობით თითქმის მიუვალ ციხეს წარმოადგენს და იქ დღისითაც გასაჭირია მისვლა, და თეტრით ხომ უმთავრესად ღამით სარგებლობენ, მეორე—ირც სხვა მხრიდან აკრავს მას ისეთი სოფლები, რომელთაც შეეძლოს სარგებლობა, ის რჩება ერკეთის სოფლის მცირე ნაწილის განკარგულებაში, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ მაინც ვიღებთ მონაწილეობას იქ სახ. სახლის აგებაში.

სულ სხვა არის ეწერი; მართალია, ის ერკეთის განაპირა კუთხეა, მაგრამ აქ ადმინისტრატიული ერთეულის საზღვარი გადალახა კულტურის მოყვარეობამ და ეწრის ირგვლივ გააერთიანა მჭიდროდ დასახლებული სოფლები—ქვემო-ერკეთი, გუთური, ჯვარცმა და იანეული, რომლებიც მთლიანად ისარგებლებენ ეწრის სახალხო სახლით. ამ სოფლების მკვიდრნი ჰქმნიან უმთავრესად ეწრის სახ. სახლის ფონდს და არავითარი კავშირი არა აქვთ მათ ერკეთის სახალხო სახლთან, მით უმეტეს, რომ ჩამოთვლილი სოფლებიდან მხოლოდ ორი შედის ერკეთის თემში; დანარჩენები კი გაერთიანებულია ეწერთან კულტურულ ნიადაგზე. ამ რიგათ ეწრის კომისია მოქმედებს დამოუკიდებლად ერკეთისაგან და შემცდარი არიან ერკეთლები, როდესაც ფიქრობენ, რომ სახლი ან ერთ ან მეორე ადგილას უნდა აიგესო. ჩვენ ვფიქრობთ, სახალხო სახლი ორივე ადგილას საჭიროა და ორივე მიაღწევს მიზანს—მაგრამ თუ უპირატესობაზე მისდგება საქმე, მაშინ, რასაკვირველია, უპირატესობა ეწერს ეკუთვნის, რადგან, იმ დროს როდესაც ეწრის ირგვლივ ოთხი მჭიდროთ დასახლებული იყრის თავს, ერკეთი რჩება ერთი სოფლის ნაწილის მონოპოლიად

წელიწად-ნახევარია მე ვითვლები ეწერის სახალხო სახლის საალმშ. კომისიის რწმუნებულად ტფილისში და, დავალებისამებრ, ვაწარმოებ მუშაობას. დაინტერესებულ პირებისაგან დავაარსეთ აქ ქვე-კომისია, რომელიც ენერგიულად მუშაობს გოგიტო ციმბირელის ხელმძღვანელობით; ვაწარმოებთ პრესის საშუალებით გამოწვევას და სხ.

ყოველივე ამან შური აღძრა ერკეთელებში და გაახშირეს ჩვენზე თავდასხმა. ამის გამო ჩვენ ვინახულეთ სრ საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე დელეგატად ჩამოსული ერკეთის თემის აღმასკომის თავმჯდომარე, რომელიც ეწრის სახ. სახლის კომისიის წევრადაც ითვლება, და შევეკითხეთ ასეთი მდგომარეობის შექმნის გამო: თქვენის დავალებისამებრ ჩვენ ვმუშაობთ და თავდასხმას რას გვემართლებიანთქო. ამაზე მივიღეთ პასუხი: „თქვენ იმუშავეთ, საქმე გააკეთეთ და რამდენიც უნდათ გისაყვედურონ... ლანძღვა-გინება, ვინც რასმეს აკეთებს, ყველა იმათი ხვედრიაო“. და ჩვენც, რასაკვირველია, განვაგრძოთ მუშაობას.

ადმინისტრატიულ გადაჯგუფებათა გამო, იმედია ერკეთ ეწერის ურთი-ერთობა ნორმალურ კალაპოტში ჩასდგება და ორივე მხარე შეასრულებს დაწყებულ საქმეს ერთმანერთის ხელის შეუშლელად. ეს ეს ყველაზე უფრო სასურველია და ორივე კუთხის მეხსიერებთათვის საჭირო.

ეწრის სახალხო სახლის საალმშენებლო კომის ის წევრი დარწმუნებული. ტფილისი.

ლადო კობიძე.

რედაქტორი: იოსებ იმედაშვილი.
გამომცემელი: ომში დაჭრილთა
შრომის არტელი „ახალი წრე“

დ. სამხ. ცენზ. № 918. სტამბა „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტირაჟი 2000

# ომში დაჭრილთა შრომის არტელ
# „ახალ წრესთან"

არსებული საგანმანათლებლო სექცია

# „კულტურა"

ამით აცხადებს მკითხველი საზოგადოების,

## მოწაფეთა მშობლების და სტუდენტების

## საყურადღებოდ,

**რომ მას მოეპოება ყოველგვარი სახელმძღვანელო საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთათვის და პოლიტიკური და სიტყვა-კაზმული ლიტერატურა.**

## ბითუმათ მყიდველებს წიგნები მიეცემათ პროც. დაკლებით.

მსურველთ წიგნები დაეთმობა შეღავათიან პირობებში—ნაწილ-ნაწილ დათქმულ ვადებში ფულის გადახდით. დაწვრილებით პირობების გაცნობა შეიძლება სექციის ბინაზე.

აქვე იყიდება

## „თეატრი და ცხოვრები"-ს

ყველა ნომრები და მიიღება ხელის მოწერა.

**მისამართი:** თავისუფლების (ერევნის) მოედანი, ქარვასლაში, მეორე სართული.



# რე' ტორანი
# „მცხეთა"

(ლენინისა და ყორღანოვის ქ. კუთხე, № 5, ზემმელის აფთიაქის ქვეშ)

**სადილი** (2 საათიდან), **ვახშამი** (ღამის 12 საათამდე)

## ევროპიული და ჩვენებური

# საცივი, ხარშო, ღომი.

**სანოვაგე ახალ-ახალი.**

## ფასები ხელმისაწვდენი.

ყოველ დღე სიმებიანი ორკესტრი.

4—1

პატივისცემით სერგო კახეთელიძე.

# რუსთაველის თეატრი

სახელმწიფო აკადემიური დრამა სეზონი
1923—24 წ.წ.

სამშაბათს, იანვრის 29-ს ი. გედევანიშვილის

## ს ი ნ ა თ ლ ე

I ნაწილი.

მოქმედი პირნი:

| | |
|---|---|
| მეფე | შ. ლამბაშიძე |
| დედოფალი | ც. ამირეჯიბი. |
| ავთანდილი | ბ. შავიშვილი. |
| ჯადოსანი | ნ. ჯავახიშვილი. |
| 1 ეშმაკი | სარჩიმელიძე. |
| 2 ეშმაკი | დ. მჟავია. |
| 3 ეშმაკი | ნ. გვარაძე. |
| სპასალარი | პლ. კორიშელი. |
| ვეზირი | ვ. ჯიქია. |
| გლეხი | მ. ვარდოშვილი. |
| დავრიში | აკ. ვასაძე. |

ყველა მუდმივი და შემთხვევითი თანამშრომლები.

მუსიკა—ხორო—ორკესტრი.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

მუსიკა ფოცხვერაშვილისა.

ლოტბარი ალ. გველესიანი.

რეჟისორის თანაშემწე კ. პატარიძე.

დრამის თეატრის გამგე დათ. ჩხეიძე.

**ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია** ამით აცხადებს, ჟურნალ **„თეატრი და ცხოვრება“-ს მკითხველების** საყურადღებოთ,

რომ ყოველგვარი დაკვეთა მიიღება ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციაში (რუსთაველის პროსპექტი № 26)
აგრეთვე ექსპედიცია აცნობებს პროვინციის მკითხველებს, რომ მას ჰყავს სხვადასხვა
ქალაქსა და დაბაში კონტრ-აგენტები, რომელთანაც შეიძლება შეძენა როგორც
ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-სი ისე ყოველგვარი ჟურნალ-გაზეთების კონტრ-აგენტები:

1. ქ. ქუთაისში ტყაბლაძე
2. ლანჩხუთში ურუშაძე
3. ახალსენაკში ესებუა
4. ხონში გალდავაძე
5. ფოთში ქადიეშვილი
6. თელავში ჩიტოშვილი
7. ჭიათურაში თოდრია
8. გორში მაჭავარიანი
9. ოზურგეთში პოლიტ-განათლება ბარამიძე
10. სუფსაში ტაგიძე
11. ჩოხატაურში ცინცაძე
12. სიღნაღში თევდორაშვილი
13. ზუგდიდში პარტკომი
14. სად. თბილისში მარშანია
15. ხაშურში ფოველი
16. აბაშაში მიქაძე
17. სამტრედიაში ახობაძე.
18. ყვირილაში ცხომელიძე
19. ბათუმში ნიკოლაშვილი
20. შორაპანში გველესიანი
21. ხარაგოული მუშ. კოოპერატივი
22. რიონში სალუქვაძე.

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის გამგის მ/გ. ქუპრაშვილი


პირველხარისხოვან რესტორან **„ნოე“**-სთან, პროსპექტი პლეხანოვის № 103

ახლად გახსნილია ამიერკავკასიაში ერთადერთი მდიდრულად და მხატვრ. მოწყობილი

**თეატრი—რესტორანი**

**თეატრში** ყოველდღე საღამოს 11 საათიდან მონაწილეობენ საუკეთესო ძალები არტისტებისა, სრულიად განცალკევებით **საყავე.**

ყოველდღე **2-5½** საათამდე **საუკეთესო სადილი**

ძლიერ დაკლებულ ფასებში, სამზარეულო ადგილობრივი და ევროპიული საჭმელებისა, გამოცდილი კულინარის ხელმძღვანელობით.

სადილის დროს უკრავს **სიმებიანი ორკესტრი**

პატივისცემით ნ. სიხარულიძე.